№ 197

1877—1905

№ 197

პარასკევი, 4 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

სასიკვდილოდ გულჩათქმულნი მშობლები დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული და შვილნი მათნი ალექსანდრა ჩიქოვანისა, კონსტანტინე, თამარა, ნიკოლოოზი, მიხეილი, ივანე და ნადეჟდა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას, 2 ამ ნოემბერს, უსაყვარლესისა და დაუვიწყარის შვილისას და ძმისას,

სტუდენტის ალექსანდრე ტურიაშვილისას

სთხოვენ მობძანდნენ კვირას, 6 ამა ნოემბერსა, ავლაბარში, წმინდა მარინეს ეკლესიის გზაში, დილის 9½ საათზე, მის გამოსასვენებლად წმ მარიანეს ეკლესიაში. დაკრძალულ იქმნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე, დილით 11-სა და საღამოობის 6 საათზე.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—12)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 სათ., საღამოთი 6—7 სათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ქირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

უ. ვ. ჩიქობავა.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამბროსიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ქირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. შ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარინის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის I—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, პარასკევს, 4 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

კარმენი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი, თარგმანი გორჩაკოვისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, კარრი, ნიკიტსკაია, კარპოვა; ბბ. დონსკოი, ევლახიშვილი, ვოლსკი დემიანენკო, შეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ა. ე. ნაპრავნიკი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

შაბათს, 5 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ახალი ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „ზაზა“, მუსიკა ლეონკავალოსი, თარგმანი გორჩაკოვისა. მზადდება წარმოსადგენად „ჩერევიჩკი“ ოპერა 4 მოქმ., 7 სურათით მუსიკა ჩაიკოვსკისა. კვირას, 6 ნოემბერს, ორი წარმოდგენაა—დილით „რუსალკა“ ოპ. დარგომიჟსკისა; საღამოზე „რუსლანი და ლუდმილა“.

ბილეთები ისყიდება

საზოგადოების მიმართ.

ქართველ ქალთა კავშირის ბიურო მიმართავს ყველას საერთოდ და სთხოვს დახმარება აღმოუჩინონ შეძლებისა და გვარად ფულით, ტანისამოსით და ან სხვა საშუალებით უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ გურულებს და სხვა საქართველოს კუთხეების ხალხს, რომელთაც ბევრი უბედურება გადახდათ ამ ბოლოს დროს და ვისი ოჯახებიც სრულიად უნუგეშოდ არიან დარჩენილი.

შემოწირულება მიიღება ტფილისში: ანასტასია წერეთელთან „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ანასტასია გედევანიშვილთან (უორდანოვის ქუჩა, № 20), მ. ვასვასიშვილთან („ცნობის ფურც.“ რედ.), ოზურგეთში: ნანა ნაკაშიძესთან.

გურულების სასარგებლოდ

რედაქციამ გურიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გიორგისაგან 25 მან, წინეთ მიღებულთან სულ შემოსულია 130 მან.

მოძრაობა არ სცხრება...

ცხოვრების განვითარება საშინელის სისწრაფით წინ მიექანება. ის, რაც გუშინ საოცნებო იდეალად ეხატებოდა დამონებულ ხალხს, დღეს უკვე ხორცს ისხამს და ცხოვრებაში შემოდის... ჯერ კიდევ იბრძვიან ძველი რეჟიმის მომხრენი და ხალხის გამარჯვებულ მსვლელობას გზაზე ეღობებიან, მაგრამ მათი მოქმედება დღეს მხოლოდ დამარცხებულის წინააღმდეგობას წააგავს.

ომის დროს გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხებული იარაღს მაშინვე როდი ჰყრის—მის ხელშია კიდევ ზოგიერთი სიმაგრეები, ჯარიც საკმარისად დიდი ჰყავს, რომ აქა იქ, ზოგიერთ შეტაკებაში ებრძოლოს გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ მას ბოლოს და ბოლოს გამარჯვება არ შეუძლიან, რომ მან ზავი უნდა მოითხოვოს და ის პირობები მიიღოს, რომელსაც მისი მოწინააღმდეგე დაუთმობს.

ამნაირ მდგომარეობაში დღეს არიან ძველი რეჟიმის მომხრენი, შეუძლიანთ კიდევ ხალხის დახვრეტა უბრძანონ იმ ჯარს, რომელიც მათ კიდევ არ გადასდგომია, შეუძლიანთ მიუსიონ ხალხს საზოგადოების ნაძირალები, მაგრამ ხალხის გამარჯვებულ მსვლელობას ისინი ვერ შეაჩერებენ ვერც სამხედრო წესების შემოღებით და ჯარების გაგზავნით, ვერც ადმინისტრაციის გაძლიერებით ვერ მოახერხებენ იმას, რომ რუსეთში არ შემოვიდეს ის რეფორმები, რომელთაც ხალხის მომქმედი ნაწილი მოითხოვს, რომ მოწვეული არ იქმნეს დამფუძნებელი კრება და ამ კრების წევრები ხალხმა საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭის ყრით არ ამოირჩიოს.

წინეთ ხომ ხალხის პოლიტიკურ უფლებებზე ლაპარაკიც კი ბოროტმოქმედებად იყო მიჩნეული და ისჯებოდნენ.

შემდეგ ხომ სათათბირო უწყალობეს ხალხის შეძლებულ უმცირესობას...

შემდეგ დაჰპირდნენ ხალხს სიტყვის და კრების თავისუფლებას და არჩევნებში არა შეძლებულ ხალხსაც მიანიჭეს მონაწილეობა და გამოაცხადეს: ხალხის წარმომადგენელთა ნება დაურთველად არც ერთი კანონი არ უნდა შემოვიდესო.

ყოველი ახალი დათმობა ხალხის ახალ გამარჯვების ნიშანი იყო და ყველა გარეშე მაყურებელთათვისაც აშკარა იყო, რომ ძველ რეჟიმს ხელახლა გაბატონება არ შეუძლია, რომ იგი ხალხს ბოლოს და ბოლოს დაემორჩილება და გადადგება... და თუ აქა-იქ რეაქციის ნიშნები მოსჩანს, ეს რეაქცია ხალხის მებრძოლ ძალებს მხოლოდ შეაერთებს და მომავალში უფრო დიდ და გამწვავებულ ბრძოლის მიზეზი გახდება, იმ ბრძოლის, რომელიც განახორციელებს ხალხის სურვილებს და ხალხს გააბატონებს სახელმწიფოში.

ეგონათ, რომ უკვე დათმობილი კუდმოკვეცილი რეფორმები ხალხს დააკმაყოფილებდა და ბრძოლაზე ხელს აიღებინებდა, რომ სამხედრო ძალის წინ შეშინებული საზოგადოება უფლებებზე ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა...

ცხოვრების სინამდვილე კი სხვას გვეუბნება,—ჩვენ ვხედავთ, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ ბრძოლის შეწყვეტა მხოლოდ დროებითი იყო. ფინლანდია და პოლონეთიც რომ არ ვახსენოთ,—პეტერბურგიდან მოსული უკანასკნელი დეპეშები გვიმტკიცებენ, რომ იქ, რუსეთის დედა-ქალაქში, საერთო გაფიცვას ისევე იწყებენ ხალხის მებრძოლი ელემენტები.

უკანასკნელმა საერთო გაფიცვამ მმართველ წრეებს 17 ოქტომბრის მანიფესტი დააწერინა, საერთო გაფიცვის დროს გამოჩენილმა ხალხის ერთსულობამ, არ შეიძლება, მმართველი წრეები არ აიძულოს კიდევ უმეტესის დასათმობად. საერთო გაფიცვა—რომელიც გაბატონებულ წრეების ძალას ამცირებს, მათ გაერთიანებულ მოქმედებას შეუძლებლად ხდის და ამითი ნიადაგს უმზადებს ხალხის გაბატონებას,—ის ძლიერი იარაღია, რომელიც პირველად გამოსცადეს რუსეთის სარევოლუციო ჯგუფებმა, და რომელსაც შემდეგშიაც დიდი მომავალი აქვს.

საერთო გაფიცვა პეტერბურგში იწყება—ამას ვკითხულობთ დეპეშებში და ძალაუნებურად თვალწინ გვეხატება რუსეთის მომქმედ ძალთა მომავალი გაერთიანება, რომელსაც კიდევ ახალ უფლებების მოპოვება მოჰყვება.

ასეთი ცნობის მიღება მოსალოდნელი იყო, რადგანაც ხალხმა გადაჭრით გამოაცხადა: დამფუძნებელი კრება, სრული ამნისტია, საყოველთაო საარჩევნო უფლება!

ეს სიტყვები, მებრძოლ ელემენტების დროშაზე დაწერილი, ჯერაც არ წაშლილა და ხალხს ამის მიღწევაზე გული არ გაუტეხია.

ბოლოს და ბოლოს ვინ გაიმარჯვებს? ის ჯგუფი, რომელიც თვითონ ხალხისგან თავს ირჩენს და, ხალხზე გაბატონებული, მას თავის სურვილების მიხედვით განაგებს... თუ ხალხი, ურომლისოდაც სახელმწიფოს არსებობა არ შეიძლება?

ამ კითხვაზე ორ სხვა და სხვა პასუხის მიცემა არ შეიძლება,—ხალხის დამარცხება მხოლოდ დროებით არის შესაძლო და მხოლოდ იქ, სადაც ხალხს ჯერ კიდევ სავსებით შეგნებული არა აქვს თავისი მდგომარეობა...

ნუ თუ საფიქრებელია, რომ მმართველ წრეებს ხალხის საწინააღმდეგოდ ბრძოლისთვის საშუალება არასოდეს არ გამოელევა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნდობა-დაკარგული, შინ არავისაგან დახმარების აღარ მქონე მუდამ მოახერხებს ხალხზე ჯარების მისევას და ტყვიითა და ზარბაზნით მებრძოლ ელემენტების დამორჩილებას?! ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს და უსასტიკეს დისციპლინით შეკრულ ჯარების მორჩილებასაც უთუოდ ექნება საზღვარი. ჩვენ ვიცით, რომ შავი ზღვის ფლოტში „პოტემკინის“ და სხვა გემების სამხედრო მეზღვაურები აჯანყდნენ, რომ აჯანყდნენ მეზღვაურები კასპიის ფლოტში, ლიბავასა და კრონშტადტში. ხმა დადის, რომ ჩრდილო კავკასიის ჯარებში მღელვარებაა. უკანასკნელად კიდევ ვლადივოსტოკიდან მოვიდა ამბავი, რომ იქ ჯარის კაცებმა აშკარა აჯანყება დაიწყეს... ჯარის კაცი,—ხალხის შვილია და შვილს მამის წინააღმდეგ სიარული სხვისი ბრძანებით ყოველთვის არ შეუძლიან...

საერთო გაფიცვა, რომელიც ახლა პეტერბურგში უკვე იწყება, რუსეთის შინაურ ცხოვრების განვითარებაში დიდ მნიშვნელოვანი იქნება, თუ მას ხალხის ყველა შეგნებულმა ძალამ დაუჭირა მხარი და ამნაირად მებრძოლი ელემენტები გაამხნევა და გააძლიერა.

ვარ. ფ—ი.

პოლონეთის მდგომარეობა.

სამხედრო წესებით, რეფორმების შემოუღებლობით აპირობენ მმართველი წრეები პოლონელების დაწყნარებას... დამორჩილებას. როდესაც ხალხი რუსეთში თვითგამორკვევის გზას დაადგა და ხალხის შეგნებულმა ნაწილმა მოითხოვა მონაწილეობა თავის საქმეების მართვასა და გამგეობაში, როდესაც საზოგადო პრინციპად აღიარებული შეიქმნა, რომ თავისი საქმეები ხალხმა თვითონვე უნდა განაგოს, მაშინ პოლონელებმა ამ იდეალების მიხედვით მოითხოვეს, რომ მათაც ეს უფლება ჰქონდეთ მინიჭებული, რომ მათაც შეეძლოთ თავიანთ ადგილობრივ საქმეების გაძღოლა სხვების დაუკითხავად.

მმართველმა წრეებმა პოლონელების ასეთი სურვილი იუცხოვეს, სეპარატიზმის სახელით მონათლეს და გამოაცხადეს,—სამხედრო წესებს შემოვიღებთ თქვენში, გაგსრესავთ, გაგანადგურებთო, იმ უფლებებსაც არ მოგანიჭებთ, რომელიც თქვენისავე დახმარებით მიენიჭა რუსეთს, მორჩილება გამოგვიცხადეთ და ამ უფლებებს ისევე გიწყალობებთო...

ცენტრალისტური ბიუროკრატიული მანქანა არ ღალატობს თავის წინანდელ იდეალებს და თავისუფლებას პირობით იძლევა. ეს პირობა არის მორჩილება, მორჩილება და მორჩილება...

მოწყალე მთავრობის მორჩილი უნდა იყოს ხალხი...

ამ მთავრობის ყოველივე მოხელის ბრძანება მორჩილად უნდა შეასრულოს ადამიანმა...

მორჩილად უნდა აიტანოს მან ის ძალმომრეობა და უსამართლობა, რომელიც დამონებულ ადამიანსაც აღაშფოთებდა და რომელიც თავისუფალ ადამიანისთვის ყოვლად აუტანელი, საზარელია...

და პოლონელებიც მორჩილად უნდა დაუხვდნენ, როგორც მომავალ რეფორმებს, ისე მომავალ სათათბიროში ან პარლამენტში უმეტესობის გადაწყვეტილებას, მაშინაც კი, როდესაც ამ გადაწყვეტილებას სარჩულად დაედება ეროვნული გაბატონების სურვილი ან სიძულვილი პოლონეთისადმი..

მორჩილება! მაგრამ პოლონელებს სწორედ ეს მორჩილება არ უნდათ. დიდი ხნის მონობის შემდეგ, როდესაც სახელმწიფოში გაბატონებული წრეები სდევნიდნენ პოლონურ ენას, ხალხს უშლიდნენ პოლონელების კულტურულ განვითარებას, როდესაც თვით რუსეთსა და პოლონეთში მცხოვრები რუსები საჭიროდ სთვლიდნენ თავიანთ ეროვნების კულტურულ გაბატონებას ახლა პოლონელებმა სთქვეს, კმარა! შემდეგში ასეთი ეროვნული დამონება აღარ გვინდაო, ჩვენ გვინდა, რომ არაფერი არ უშლიდეს ჩვენ ეროვნების თავისუფალ განვითარებას, გვინდა, რომ ჩვენ საქმეების გადაწყვეტაში არ გვყავდეს ბატონი და გარეშე ბრძანებელიო! წარსულის გამოცდილებამ და სხვა განათლებულ სახელმწიფოების მაგალითმა დაგვიმტკიცა, რომ იქ, სადაც ერთ სახელმწიფოს კალაპოტში ორი ეროვნებაა მოთავსებული, მათში ეროვნული შუღლი აუცილებელი გამხდარა და ამ ეროვნულ განხეთქილებაში ზარალობდა რიცხვით მცირედი ერიო... გვინდა, რომ მოისპოს ეროვნული განხეთქილება და ამისათვის ჩვენი ადგილობრივი საქმეების გარკვევა ჩვენვე უნდა გვქონდესო დაკისრებული,—ცენტრალისტურად მოწყობილ რუსეთში დავიჩაგრებითო...

აი, ეს მისწრაფება მმართველმა წრეებმა სეპარატისტობის სახელით მონათლეს და, როგორც წინეთ რუსეთში მომქმედ პარტიებს რუსეთის მტრებს უწოდებდნენ და აცხადებდნენ, მათ რუსეთის განთავისუფლების სახელით რუსეთის დაღუპვა უნდათო, იაპონელებისგან არიან მოსყიდულნიო, ისე ახლაც პოლონელების მოქმედ პარტიებს სეპარატისტებად ისახავენ და რუსის ხალხს ეუბნებიან—პოლონელები რუსეთის დარღვევას აპირობენ, საზღვარ-გარეთელებთან იჭერენ საქმეს, გერმანიის იმპერატორს უმზადებენ გზას ვარშავაში შემოსასვლელად... მმართველი წრეები ამით რუსებს ამხედრებენ პოლონელების საწინააღმდეგოდ, როგორც გუშინ ხალხს ამხედრებდნენ რევოლუციის მომხრეთა წინააღმდეგ და დღეს კიდევ ებრაელების ან სარევოლუციო წრეების დარბევის მიზეზად ხდებიან...

პოლონელები სეპარატისტობენ, მტრობენ რუსეთს და ამიტომ მათ სამხედრო წესებით მოვარჯულებთ, მათ მოვუსპობთ სიტყვის და კრების თავისუფლებას, რომელიც უკანასკნელ მანიფესტის ძალით მინიჭებული აქვს რუსეთის ყველა მოქალაქეს.

რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში პოლონელებს და ებრაელებს შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვით, ორივე ეროვნების წარმომადგენელნი თავგანწირულად იბრძოდნენ არსებულ რეჟიმის დასამარცხებლად. ახლა კი, როდესაც რუსეთში კუდმოკვეცილი რეფორმები მაინც შემოდის,—ებრაელებს არბევენ, პოლონელებს ამ რეფორმებსაც არ აღირსებენ... სამხედრო წესებით აპირობენ პოლონელებში ეროვნულ თანასწორობისადმი მისწრაფების მოსპობას...

რა თვალით უნდა შეხედოს მმართველ წრეების ამნაირ მოქმედებას ადამიანმა? მორჩილება ურჩიოს ისევე, როგორც სხვაგანაც მხედრობის წინ ქედის მოხრას არჩევენ ზოგიერთები,—და ამნაირად გააადვილონ მმართველ წრეების თვითნებობა, თუ თანაგრძნობა გამოუცხადოს პოლონელებს და ხელი შეუწყოს მათ ბრძოლას რეაქციის ძალებთან, როგორც ფინლანდიელები იბრძოდნენ თავიანთ უფლებების დასაბრუნებლად?

ფინლანდიელებმა გაიმარჯვეს... რა მომავალი მოელის პოლონელებს, რომელმაც მთავრობის განცხადებაზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ უპასუხა გაფიცვით,—რკინის გზები და ტელეგრაფი იქ შეჩერდა, პოლონეთი დღეს რუსეთისაგან ფაქტიურად მოწყვეტილია.

პოლონეთი გურიასავით მცირერიცხოვანი და სუსტი არ არის, რომ ქედი მოიხაროს აშკარა უსამართლობის წინაშე...

ხვალინდელი დღე რას დაგვანახვებს?

კ. ხ.

მოქალაქის ძირითადი უფლებანი

კრებამ პირველად შეიმუშავა მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი. ის პროგრამმა, რომელიც ბიურომ კრებაზე წარადგინა, მთლიანად მიიღეს, კამათი მხოლოდ იმ მუხლმა გამოიწვია, სადაც ებრაელები და პოლონელები პირველ პლანზე არიან დასახელებულნი. ზოგიერთა ორატორის აზრით, საჭიროა საერთოდ ითქვას, რომ ყველა ეროვნება ერთი და იმავე უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი. რა საჭიროა ასეთი ფორმულა: „პოლონელები, ებრაელები და ყველა სხვა ეროვნება“? განა სომხები და თათრები, მაგალითად, უკეთეს მდგომარეობაში არიანო?

კოკოშკინი, კოტლიარევსკი, მილიუკოვი და სხვა იმ აზრს იცავენ, რომ ებრაელები მეტისმეტად დაჩაგრულები არიან; ისეთი კანონები, როგორც აკრძალვა სოფელში ცხოვრებისა, აკრძალვა სხვა ქალაქებში გადასახლებისა, აკრძალვა მამულის ყიდვისა და სხვა, ასეთი უმსგავსი კანონები ჩვენ იძულებულ გვხდის ებრაელებს პირველი ყურადღება მივაქციოთ. ისევე ითქმის პოლონელებზედაც. კრებამ ბიუროს პროექტი მიიღო.

მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი.

1) რუსეთის ყველა მოქალაქენი, სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, თანასწორნი არიან კანონის წინაშე. უნდა მოსპობილ იქმნას პოლონელთა, ებრაელების და ყველა სხვა ეროვნების პირადისა და ქონებრივ უფლებათა შემცირება.

2) უნდა უზრუნველ-ყოფილ იქმნას ყოველის მოქალაქისთვის სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლება. ყველას თავისუფლად და დაუსჯელად შეუძლია სარწმუნოების გამოცვლა. ამისთვის უნდა აკრძალული იყოს ყოველნაირი დევნა და სასჯელი. ყველას შეუძლიან თავისუფლად შეასრულოს ღვთის-მსახურება, თუ იგი სისხლის სამართლის კანონებს არ ეწინააღმდეგება.

მართლ-მადიდებელი და სხვა ეკლესია უნდა სახელმწიფო ოპეკიდან განთავისუფლებულ იქმნას.

3) ყველას ნება აქვს გამოსთქვას ზეპირად ან წერით თავისი აზრი, აგრეთვე გაავრცელოს იგი პრესისა, ან სხვა საშუალებით; როგორც საერთო, ისე სპეციალური ცენზურა უნდა მოსპობილ იქმნას და თავის დღეში აღარ აღადგინონ იგი იმ დანაშაულობისთვის, რომელიც ჩადენილი იქნება სიტყვიერად, ან წერით. დამნაშავე მხოლოდ სასამართლოს წინაშე იქნება პასუხის მგებელი.

4) რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს გამართოს სახალხო კრებები, როგორც დარბაზში, ისე ცის ქვეშ; ამ კრებაზე მას ნება აქვს გაარჩიოს ყველანაირი კითხვები.

5) რუსეთის ყველა მოქალაქეებს უფლება აქვთ ნება დაურთველად დააარსონ კავშირები და საზოგადოებანი.

6) პეტიციის უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც კერძო კაცს, ისევე ყველა ნაირ ჯგუფს, კავშირს, საზოგადოებას და სხვასა.

7) პიროვნება და სახლი ყველა მოქალაქისი ხელშეუხებელი უნდა იქმნას. კერძო სახლში შესვლა და მისი გაჩხრეკა, გახსნა კერძო წერილებისა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელიც კანონებში იქნება აღნიშნული, და ეს უნდა მოხდეს აუცილებლად სასამართლოს დადგენილებით. ყოველი დატუსაღებული პირი უნდა ან მიცემულ იქმნას სასამართლოში, ან განთავისუფლებული: ქალაქებში—24 საათის განმავლობაში დატუსაღების შემდეგ, სოფლებში კი არა უგვიანეს 3 დღისა. თუ ვინმე დატუსაღებული იქმნა უსაფუძვლოდ, ან უფრო დიდხანს იყო

ეროვნული

დატუსაღებული, ვიდრე კანონი ამბობს, მაშინ მას აქვს ნება სახელმწიფოსგან მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

8) არავინ არ შეიძლება დაისაჯოს, ან დატუსაღებულ იქმნას, თუ არა სასამართლოს გარდაწყვეტილებით.

9) ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს თავისუფლად გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი და წავიდეს საზღვარ გარედ. პასპორტული სისტემა უნდა მოისპოს.

10) ყველა ზემოხსენებული ძირითადი უფლებანი მოქალაქეებისა უნდა შეტანილ იქმნას რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებში, და უზრუნველ ყოფილ იქმნას სასამართლოსაგან (Судебная защита).

11) რუსეთის იმპერიის ძირითადმა კანონმა უნდა უზრუნველ ჰყოს ყველა ეროვნებისთვის, სრულის მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თანასწორობის გარდა, უფლება სრულის კულტურულ თვით-გამორკვევისა, როგორც—თავისუფლად ხმარება საზოგადო ცხოვრებაში სხვადასხვა ენისა; დაარსება და შენახვა სასწავლებლებისა დასხვადასხვა კრებებისა, კავშირებისა, დაწესებულებისა, რომელთაც მიზნად აქვთ თითოეულ ეროვნების ენის, ლიტერატურისა და კულტურის შენახვა და განვითარება.

12) რუსული ენა უნდა დარჩეს—ცენტრალურ დაწესებულებათა, არმიის და ფლოტის ენად. საერთო კანონებმა სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა მოაწყოს ხმარება ადგილობრივ ენისა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში და სასწავლებლებში. ყველა თვით-მმართველობრივ ორგანომ ეს კითხვა უნდა გარდასწყვიტოს ამ საერთო კანონის მიხედვით. ყოველ ადგილობრივ მცხოვრებთათვის უნდა უზრუნველ-ყოფილ იქმნას პირველ-დაწყებითი და შემდეგი სწავლაც თვის სამშობლო ენაზე.

შ. ნ.

აუცილებელია!

ჟორესის წერილი.

როგორ არ იცის რუსეთის ხელმწიფემ ახლა, როდესაც პოლიტიკურმა გრიგალმა დააქცია აქაურობა, რომ ნახევარ ზომებით საქმის გაკეთება არ შეიძლება, რომ კუდმოკვეცილი დათმობა ვერ დაამშვიდებს ხალხის უმეტესობას? მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა, რომელსაც ძალუძს რუსეთის რევოლუცია ჩააყენოს მშვიდობიან განვითარების კალაპოტში, ეს არის—საპოლიტიკო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად მთელის ხალხის მოწვევა, ეს არის გარანტიების შექმნა, რომელნიც შეუძლებლად გახდიან რეაქციის ხელახლად გაბატონებას. რა შეუძლია მას ამის გარეშე? ნუთუ იგი დაუბრუნდება ისევე თავის წინანდელ მრჩეველებს და დახევს მანიფესტს? ეს ხომ სისულელე იქნებოდა. დღეს იქით თვითმპყრობელობა მკვდარია. როდესაც დიდის ხნის მონობის შემდეგ ხალხმა თავის ძლიერება გამოიჩინა, როგორც ახლა ჰქნა რუსეთის ხალხმა, როდესაც მან შეთქმულებათა ბნელ გზას გადაუხვია და აშკარა რევოლუციის ნათელი გზა აირჩია სავლელად, როდესაც მან საერთო გაფიცვით თვით ცხოვრების შეჩერებაც კი მოახერხა, მაშინ შეუძლებელია მას ხელახლად შეადგეს ბორკილი, რომელიც მას ახლა ხან დაუმსხვრევია. რეპრესიებსა და სისასტიკეს შეუძლია მხოლოდ გარეგანი მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, ხოლო ხალხის მოთხოვნილება მაინც თავს იჩენს და ცხოვრებაში გაიტანს თავისას.

რუსეთის სწრაფმა სამრეწველო განვითარებამ შეაკავშირა მუშათა კლასი და ამით შექმნა ის მისწრაფება, რომელმაც მოუყარა თავი რევოლუციის მომქმედ ძალებს და ისინი აამოძრავა. ნუთუ ხელმწიფეს სურს მოსპოს რუსეთის ეკონომიური ძალები? ნუთუ მას უნდა შეაჩეროს ან შეუძლებლად ჰყოს რუსეთის ეკონომიური განვითარება? ნუ თუ იგი თანახმა იქნება რუსეთში მიწადმოქმედება დაამყაროს მრეწველობის სამაგიეროდ და თვით რკინის გზის ლიანდაგებიც აჰყაროს იმის შიშით, რომ გაფიცულებმა ამ ლიანდაგზე მატარებლების მიმოსვლის შეჩერება არ გაბედონ? ამას ხომ რუსეთის ეკონომიური დაქცევა მოჰყვება, რომელიც უკიდურესობამდე მიიყვანდა უკვე გამოფხიზლებულ ხალხის უმეტესობას და თუ, პირიქით, რუსეთის მთავრობისათვის აუცილებელია მრეწველობის გაძლიერება და მუშათა კლასის გამრავლება და მასთან ერთად სარევოლუციო ძალების განვითარება, მაშინ ხომ ცხადია, რომ ხალხი რუსეთში აღარ დასთანხმდება წინანდელ მონობას?!

რუსეთის ხელმწიფეს წარსულისაკენ დაბრუნება არ შეუძლია; მან ძალა-უნებურად მომავლისაკენ უნდა იაროს. იგი ძალა-უნებურად უნდა შეურიგდეს რევოლუციას. მაგრამ მას ხალხში ნდობის მოსაპოვებლად ორი რამ სჭირია: უნდა დასთანხმდეს დამფუძნებელ კრების მოწვევას, უნდა დასთანხმდეს, რომ ამ კრების წევრები ხალხმა საყოველთაო კენჭის ყრით ამოირჩიოს. რა შეუძლია მას ამის საწინააღმდეგოდ წამოაყენოს? თვითონაც ხომ თავის მანიფესტში თითქო აცხადებს ამას, მაგრამ ისე ბუნდად და გაურკვევლად, რომ ხალხი ძალა-უნებურად ეჭვიანდება. რა საშინელებაა, გაურკვეველად იმ გადამწყვეტ სიტყვის თქმა, რომელსაც შეუძლია თავისუფლების დამყარება რუსეთში! რუსეთის შინაურ აწეწ-დაწეწვის მოსპობა შეუძლია მხოლოდ ერთ ძალას, ხალხისგან გარჩეულ საკანონმდებლო კრებულს. მხოლოდ მას შეუძლია კანონიერი გზა მისცეს გლეხთა აჯანყებას სოფლებში. საკვირველია, თუ რანაირად ასაბუთებენ თავიანთ აზრს რეაქციის მიმხრენი და ზომიერები, როდესაც ამბობენ, რომ რუსეთში საყოველთაო საარჩევნო უფლება ახლა არ უნდა იყოს შემოღებული,—გულუბრყვილო და სათვალთმაქცო ეს საბუთები. ამბობენ, რუსეთში გლეხები განუვითარებელნი არიან, ისინი საყოველთაო საარჩევნოს უფლება ის დროს ბიუროკრატიის ხელში მორჩილი იარაღი შეიქმნებიანო.

ივიწყებენ, რომ გლეხები თუ დღესაც ხელმწიფეს ერთგული არიან, ისინი წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომელსაც ხელმწიფის სახელით გამოცემული კონსტიტუცია შემოიღებს რუსეთში.

კონსერვატორებს რომ დავუჯეროთ, იმათ, ვინც გლეხების საიდუმლო გულის ნადების ცოდნას იჩემებს, გლეხი ურჩობას გამოუცხადებს ხელმწიფეს მაშინ, როდესაც ხელმწიფე მას მიანიჭებს პოლიტიკურ თავისუფლებას. მაგრამ ნამდვილად, ხელმწიფის სურვილის წინააღმდეგაც მზად არიან გლეხები სარევოლუციო ძალთა მოწვევით, მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრებაში, რომელიც გლეხობას მიწის მიცემას უქადის.

სანამ რუსეთში ხალხი ბატონად არ იქმნება გამოცხადებული, იქ სისხლის ღვრა და შინაური განხეთქილება არ მოისპობა, მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას შეუძლია ხალხის დამშვიდება, რადგანაც მაშინ ხალხი თავის ბედის და უბედობის პასუხს მგებელი თვითონვე იქმნება.

მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა საერთო პოლიტიკურ ამნისტიის გამოცხადება, ვინაიდან უამისოდ რეფორმების ყოველივე დაპირება უნაყოფოდ ჩაივლის, ვინაიდან ხალხი უთუოდ იფიქრებს, რომ მას ზოგიერთ უფლებას უთმობენ დღეს მხოლოდ იმისთვის, რომ ხვალ უფრო ადვილად დაამარცხონ და დაიმონონ. მთავრობისათვის აუცილებელია ხალხში ნდობის მოსაპოვებლად ყველა იმათი განთავისუფლება, ვინც იტანჯება რუსეთის ციხეებსა და ციმბირის მიდამოებში. როგორ შეიძლება ბორკილებში დატოვება იმ გაბედულთა, ვინც იბრძოდა რუსეთში თავისუფლების დასამყარებლად? მათი დანაშაული ის არის რომ გაბედულება გამოიჩინეს მთელ ხალხზე ადრე. ისინი თუ დამნაშავენი არიან, მთელი რუსეთი, ახლა გამოფხიზლებული და ბრძოლისთვის ამდგარი, დამნაშავე ყოფილა, და როგორ უნდა დაარწმუნოს მთავრობამ ხალხი, რომ გულწრფელად და საბოლოოდ ანიჭებს მას თავისუფლებას, თუ ამავე დროს სტანჯავს იმათ, ვინც იბრძოდა ხალხის საკეთილდღეოდ? გაიღოს სატუსაღოს კარები, ციმბირიდან დაბრუნდნენ ისინი, ვინც იქით გადასახლებია მთავრობას. ყველა ესენი ისევე კარგ რჩევას მისცემენ მთავრობას, როგორც წინეთ გაბედულობის მაგალითი მიუციათ. მათ ნამეტანი ბევრი მწუხარება აუტანიათ თავისუფლების გულისთვის და ამიტომ ისინი ახლა თავისუფლებისთვის საშიში აღარ არიან, მათთან ერთად რუსეთის ხალხი მომავლის იმედით იქმნება და მშვიდობიანად დაამყარებს თავის სურვილს სახელმწიფოში. საყოველთაო საარჩევნო უფლება, დამფუძნებელი კრება და ამნისტია,—აი ის გარანტიები, რომელნიც აუცილებლად სჭირია რუსეთის რევოლუციისათვის.

(ლ. უმანიტე, 4 ნოემბერი)

კონსტიტუციონალურ დემოკრატიულ პარტიის კრება (12—18 ოქტომბ.)

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მილიუკოვის რეზოლიუციის მიღების შემდეგ, კრება შეუდგა პროგრამის შემუშავებას. განხილულ იქმნა ბიუროს პროექტი—„სახელმწიფო წყობილება". ამ პროექტში კრიტიკა არ იყო დაძრული იმის შესახებ, რომ ქალებსაც უნდა ჰქონდეთ უფლება ხალხის წარმომადგენლების ამორჩევაში ისეთივე მონაწილეობა მიიღონ, როგორც კაცებმა.

„ქალების თანასწორობის კავშირის" დეპუტატებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ახლავე აუცილებლად საჭიროა „ამორჩევითი უფლება" ქალებზედაც გავრცელებული იქმნასო. ერთმა მათგანმა ირონიით სხვა სიტყვა წარმოსთქვა. „პარტიის მოთავეები ჩვენ გვეუბნებიან: გვენდეთ და, როდესაც გავიმარჯვებთ, არც თქვენ დაგივიწყებთო. მაგრამ ხომ შეიძლება ესეთივე თხოვნით მუშებს მიმართოთ? სახელდობრ ერთიც და მეორეც. მოგვწყინდა ნდობა, ჩვენ არ გვინდა სხვებს მივანდოთ ჩვენი ინტერესების დაცვა, ჩვენ თვითონვე უნდა დავიცვათ! და თუ ხელში იარაღი არ გვექნება, რით ვიბრძოლებთ. ეს იარაღი—თანასწორი უფლებაა მამაკაცებთან.

ებრაელ დედათა წარმომადგენელმა ქ-ნმა კალმანოვიჩმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა: მან ანიშნა, რომ ქალი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელსაც სახელმწიფო ითხოვს, და მაინც მოწადინე რჩება ჩვენ გვინდა სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობა მივიღოთ! ეს შეუძლებელიაო, ხშირად გაისმის აქ: დასავლეთ ევროპაშიაც არ შემოუღიათ ქალების და მამაკაცების პოლიტიკური თანასწორობაო. მე არ ვესმის, ნუთუ რუსები თავის მოვალეობად სთვლიან უთუოდ დასავლეთ ევროპის მაგალითს მიბაძონ? ჩვენ ისეც ბევრჯელ გვასწავლა ჭკუა დასავლეთმა ევროპამ; და ურიგო არ იქნებოდა, მისთვის სიკეთე გადაგვეხადა და გვეჩვენებინა მაგალითი მამაკაცთა და დედაკაცთ პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობისა.

ბ-ნმა ვერმიშევმა ანიშნა, რომ ქალთა კითხვა პრაქტიკულად გადასწყვიტა კიდეც პატარა ერმა: გურიაში ქალები საზოგადო ცხოვრებში ისეთსავე მონაწილეობას იღებენ, როგორც კაცები.

ბ-ნი სმირნოვი ამბობს, რომ იგი დაესწრო პროვინციაში კრებას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ხალხი, მაგ., გლეხები, მუშები და სხვა. მიუხედავად ამისა, ყველა ერთხმად იმ აზრს მიემხრო, რომ ქალებს უნდა მიეცეთ თანასწორი უფლებაო.

ვექილი მაკლაკოვი იმ აზრს აცხადებს, რომ, თუმცა იგი პრინციპიალურად ემხრობა „ქალების თანასწორობის" მქადაგებელთ, მაგრამ ამ პრინციპის ახლავე განხორციელება მეტად საშიშოდ მიაჩნია. არც ერთ ქვეყანაში მთელ დედამიწის ზურგზე, არც ერთ პარლამენტში ქალი მონაწილეობას არ იღებს, და თმები ყალყზე სდგება, როდესაც ვფიქრობ, რომ პირველი გამოცდა ჩვენ უნდა მოვახდინოთო.

მაკლაკოვს მწარედ დასცინა ერთმა ორატორმა, რომელმაც მაკლაკოვის აზრებს ოპორტუნისტური აზრები უწოდა, იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი პუნქტი პროგრამისა უნდა ძირითად პრინციპთან შეთანხმებული იყოსო.

ვექილი ხომენტოვსკი ამბობს, რომ კავკასიაში სომეხი და ქართველი ქალები, დიდი-ხანია, „თანასწორობისათვის" მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი. ქართველი ქალი ყოველთვის სული და გული იყო იმ პროტესტისა, რომელიც ასე შესანიშნავად გაისმის ეხლა საქართველოში.

პროფესორი კოკოშკინი უცნაურ აზრს გამოსთქვამს. ჩვენი პრინციპი, მართალია—საერთო კენჭის ყრაა ხალხის წარმომადგენლების ამორჩევის დროს, მაგრამ, თუ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ ქალებმა წარმომადგენლების ამორჩევაში ახლავე მიიღონ მონაწილეობა, ეს პრინციპის დარღვევას სრულიად არა ნიშნავს. ამომრჩეველთა რიცხვიდან მთელი არმია გამორიცხეთ და განა ამით პრინციპი დავარღვიეთ?

პროფესორ კოკოშკინის სიტყვამ ქალ[illegible]ტონი მილიუკოვისა (ცნობილ მწერლის ცოლია) საშინლად აღაშფოთა. მე არ მესმის,—სთქვა მან,—ისეთმა განათლებულმა პირმა, როგორც ბ. კოკოშკინია, როგორ მოიყვანა ესეთი შედარება? არმია მთავრობის იარაღია და მთავრობა მას ძალას დაატანს და იმას აარჩევინებს, [illegible] მისთვის გამოსადეგია. ნუთუ კოკოშკინის აზრით ქალებიც ამ მდგომარეობაში იმყოფებიან? მაშ რა მოსაყვანია ესეთი შედარება?

ქალ. მილიუკოვის შემდეგ მისმა ქმარმა ილაპარაკა. იგიც მიემხრო იმ პირთ, რომელნიც მომხრენი არიან ქალებზე „ამომრჩევთა უფლების" გავრცელებისა მომავალში, და არა ახლავე, დაუყოვნებლივ. კრებამ მიიღო მუხლი, რომელშიაც აღიარებულია ქალების თანასწორი უფლებანი ხალხის წარმომადგენლების ამორჩევაში, მაგრამ ამ მუხლშივე არის ნათქვამი, რომ პარტიის უმცირესობას უფლება აქვს ამ საგნის შესახებ თავისი საკუთარი აზრი იქონიოს.

ქალ. მილიუკოვისამ აღელვებულის ხმით სთქვა: რადგანაც ამ პარტიაში ისეთი პირებიც იმყოფებიან, რომელნიც ქალების „თანასწორობის" წინააღმდეგნი არიან, რადგანაც აქ ქალებს არმიას ადარებენ და გაიძახიან: ქალებმა უნდა მსხვერპლი მოიტანონ და ისეთ აღფრთოვანებულ დროს თავისი ინტერესები დროებით დაივიწყონო, ამიტომ მე ჩემთვის შეუძლებლად ვსთვლი ისეთ პარტიაში დარჩენას და გთხოვთ წევრების სიიდან ამომშალოთო. თავმჯდომარემ სთქვა: კრებამ გულის ტკენით მოისმინა ისეთი განცხადება და ნანობს, რომ პატივცემული წევრი პარტიიდან გადის, თუმცა მისი საყვედური უსაფუძვლოაო.

პროგრამის სხვა პუნქტებმა მცირე კამათი გამოიწვია და კრებამ იგი შემდეგის სახით მიიღო:

სახელმწიფო წყობილება.

1) კონსტიტუციური წყობილება რუსეთის სახელმწიფოსი უნდა გამოხატული იყოს ძირითად კანონით.

2. ხალხის წარმომადგენლები უნდა არჩეულ იქმნენ საერთო, თანასწორის, პირდაპირის და დახურულის კენჭის ყრით, სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად. პარტია ნებას აძლევს უმცირესობას ცალკე აზრი იქონიოს „დედათა ამორჩევით უფლების" შესახებ. პარტიის წევრებს შეუძლიანთ სხვადასხვა აზრი იქონიონ ხალხის წარმომადგენლების ორგანიზაციის შესახებ, ე. ი. ერთ პალატიან, ან ორ პალატიან სისტემის შესახებ, რომლის განაც მეორე პალატა შესდგება ადგილობრივ თვით-მმართველობის წარმომადგენლებისაგან.

3) ხალხის წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკანონმდებლო უფლების შესრულებაში (სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში), და კონტროლი უნდა გაუწიონ მაღალ და დაბალ ადმინისტრაციას, რომ მათი მოქმედება კანონიერი იყოს.

4) არც ერთ ბრძანებას, განკარგულებას, დადგენილებას, რომელიც დაფუძნებული არ არის ხალხის წარმომადგენლების გარდაწყვეტილებაზე, არავითარი ძალა არ უნდა ჰქონდეს, განურჩევლად იმისა, ვისი მხრიდან არის ესეთი განკარგულება.

5) სახელმწიფო როსპისი, რომელშიაც შეტანილი [illegible] იყოს ყველა შემოსავალი და გასავალი სახელმწიფოსი, დადგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი წლით. არავითარი გადასახადი, ბაჟები და სხვა. სახელმწიფოს სასარგებლოდ და არც სახელმწიფო სესხი არ უნდა იყოს დადგენილი, თუ არა კანონმდებლობის წესით.

6) ხალხის წარმომადგენლების კრების წევ-

ფელეტონი

ირლანდიის წარსულიდან

(პარნელი, დევიტი და გლადსტონი).

ირლანდიის საზოგადოებრივი ცხოვრება 1870 წლამდე ორის გზით სცდილობდა ინგლისის მძიმე უღლიდენ გამოსხლტომას. ერთი იყო უმწვავესი რევოლუციონური მიმართულება, რომელიც პოლიტიკურის განთავისუფლებით ჰლამობდა ირლანდიისათვის ბედნიერების მოპოვებას და თავის გამარჯვების იმედს ძალაზე ამყარებდა. მეორე მიმართულება კი პარლამენტის საშუალებით, კანონმდებლობის სისტემით ქვეყნის გამოჯანმრთელებას სცდილობდა; მისი იარაღი ზნეობრივი გავლენა, მშვიდობიანი აგიტაცია იყო. მრავალგვარი ცვალებადობა განიცადა პატარა ირლანდიამ, ბევრგზით სცადა განთავისუფლებინა თავისი ხალხოსნური შემოქმედება უცხო გავლენისაგან...

1782 წელს ვოლონტიორების სარევოლუციო მუქარამ ინგლისის მთავრობა შეაფიქრიანა და მან ირლანდიას კუდმოკვეცილი თვითმართველობა „უწყალობა". 1780 წლის მშვიდობიანმა აგიტაციამ, 1798 წ. ფიცჯერალდის და ტონის ამბოხებამ, 1803 წელს ემმეტის ამბოხებამ უნაყოფოდ ჩაიარა. „ნორჩ ირლანდიის" სარევოლუციო მოძრაობამ უბრალოდ დაღვრილ სისხლის მეტი არსებითად არა შესძინა-რა ირლანდიას. სამოციან წლებში ფენიების გააფთრებულმა ბრძოლამაც ვერ მიანიჭა ირლანდიას თავისუფლება. 1870 წლამდე კონსტიტუციონისტთა მეცადინეობამაც (ისააკ ბიუტისა) ვერაფერი გაარიგა.

ყველა ეს თვალსაჩინო მაგალითები ისტორიისა, ირლანდიელ ახალ მებრძოლთა თვალწინ ედგათ... პარნელი და დევიტი—აი, ორი ბაირაღტარი ირლანდიის გამანთავისუფლებელ მოძრაობისა 1870 წლიდან. დევიტი ხალხური აგიტატორი და უბადლო ორგანიზატორი იყო, პარნელი-პარლამენტის დეპუტატი, მჭერმეტყველი, მგზნებარე და თავგამოდებული მამულიშვილი. დევიტი და პარნელი მალე დაახლოვდნენ და მეგობრობდნენ,—მათ ერთი გზა ჰქონდათ, ერთს მიზანს ეტრფოდნენ.

1878 წელს, როდესაც პარნელმა პარლამენტში რევოლუციონური ელფერი შეიტანა და ირლანდიის ინტერესებს პირუთვნელად და თამამად გამოესარჩლა, დევიტმა მხარი მისცა მას, მან კარგად იგრძნო ძალა და სიდიადე პარნელის ნიჭისა და გულისთქმისა. დევიტი მოგზაურობდა ირლანდიის დაბა-ქალაქებში, ჰმართავდა მიტინგებს და უქადაგებდა ხალხს თავის ახალს პროგრამას მოთხოვნილება მოქმედებისას, ურჩევდა აგრეთვე, რომ ყველამ მხარი დაუჭიროს პარნელს საპარლამენტო მოღვაწეობაში. პარნელი და დევიტი მალე ხალხის საყვარელ გმირებად გადაიქცნენ. დევიტის პროგრამა ისეთ მუხლებს შეიცავდა, რომ ირლანდიის ყველა პარტიებს საერთო სასპარეზოს უჩენდა, საზიარო პლატფორმას აძლევდა. იგი თხოულობდა უპირველესად:

1) ირლანდიას ეროვნული მმართველობა უნდა მიენიჭოს.

2) ირლანდიის პარტია ინგლისის პარლამენტში სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

3) მიწად-მფლობელობა უნდა მოწესრიგდეს.

4) იარაღის ტარება არავის არ უნდა აეკრძალოს და სხ.

ამერიკას ახალშენები უმთავრესი ბინა იყო ირლანდიელ გარდახვეწილ მებრძოლთა. დევიტიც თავის ახალის პროგრამით იქით დაეშურა.

1878 წ. დეკემბერს ბოსტონში მიტინგი გამართა, სადაც ამერიკელი ფენიები არამც თუ სავსებით მიემხრნენ დევიტის პროგრამას, არამედ ჩაურთეს კიდეც ახალი მუხლები. მიწადმფლობელობის შესახებ დაადგინეს: „დაუყონებლივ ზომები მივიღოთ, რომ ლენდლორდების (მემამულეთა) უფლებანი შევზღუდოთ, რომ მათ უფლება არა ჰქონდეთ მიწის მოიჯარადრე გლეხის (ფერმერის) თავნებობით დათხოვნა—გაძევებისა, ვეცადოთ, რომ მიწები გლეხთა (ფერმერთა) საკუთრებად გადავიდეს".

ეს მუხლი ფრიად საგულისხმიერო და მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ ირლანდიის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი ერთ მუჭა მემამულეთა ხელში იყო და ხალხს კი არა ჰქონდა-რა. მარტო სამას ლენდლორდს ექვსი მილიონი (4,445,000 დღიური) აკრი ეჭირა. ამათგან თერთმეტ მემამულის ხელში იყო 297 ათასი აკრი, ორთაშუა რიცხვით თითოს ეჭირა 80,972 დღიური მიწა. ლენდლორდები მიწებს იჯარით აძლევდნენ ფერმერებს (გლეხებს) მამასისხლად და ამას გარდა კანონის ძალით უფლებაც ჰქონდათ მოიჯარადრე გაეძევებინათ თავის მიწიდან, როცა კი მოესურვებოდათ...

ამისთვის ადვილი გასაგებია, თუ დევიტის მოძღვრებას რა ხალისითა და აღტაცებით ეგებებოდა ირლანდიის ხალხი. დევიტს პარნელის გარდა ო'რილლი და დუილიც მიემხრნენ... ამავე ხანებში ირლანდიაში ფეხი მოიკიდა კერძო, აგრარულმა ტერორმა... 1878 წელს მოჰკლეს ლორდი ლეიტრიმი. ლეიტრიმი შეძლებული და გავლენიანი მემამულე იყო და მით უფრო გარყვნილი და თავ აშვებული. რამდენი უმანკოება უმსხვერპლია თავის გამხეცებულ ჟინისათვის, რამდენ ახალგაზრდა მეუღლეთა ოჯახური ცხოვრება გაუმწარებია... ერთხელაც ერთი ფერმერის ქალიშვილი გაეუპატიურებინა და ქალის ძმამ მოჰკლა იგი, შური იძია. ლეიტრიმის მკვლელობის ამბავი მთელ ირლანდიის ელვის სისწრაფით მოედო, მის მსგავსთა გულში ძრწოლამ და შიშმა დაიბუდა, ხალხი კი აღზვირთა და ქუჩებში გამოიყვანა. იგი თვალწინ ჰხედავდა თავის აბუჩად ამგდებ მტერს, იგი აშკარად ჰგრძნობდა თავის უმწეო დამცირებას, მაგრამ გულის წყრომის გარდა ვერაფერს არიგებდა. ყველა ამან დევიტის მოძღვრება-მოწოდებას ხელი შეუწყო, უტყუარ სარჩულად დაედო მის ქადაგებას. 1879 წელს, 16 აპრილს დევიტმა აირიშტონში გამართა დიდებული მიტინგი, სადაც ისე აღაფრთოვანა, ისე წარიტაცა ხალხის გულის ყური, ისე თვალნათლივ დაუსურათა ფერმერთა უნუგეშო მდგომარეობა, რომ ერთხმად დაადგინეს: მოვალნი ვართ არამც თუ ავლაგმოთ ლენდლორდთა თავნებობა, არამედ ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ იგი, უნდა მოვსპოთ, ვინაიდან მიწა-წყალი მიწის დამამუშავებლისაა. ასე დაადგინა შვიდმა ათასმა კაცმა იმ საღამოს და, მიტინგის დასრულების მერე, მთელს ქალაქსაც მოსდო ხმა: „ძირს ლენდლორდები! მიწა ხალხისაა!" ამის მერე დევიტმა უესტპორტში მოახდინა დიდებული მიტინგი, სადაც საგანგებოდ პარნელი უნდა მისულიყო. პარნელს ხუთასი შეიარაღებული ცხენოსანი მოაცილებდა აბჯრის ჟღერით. პარნელის დანახვამ ელექტრონივით დაუარა ყველას, დიდებულ მებრძოლის ხილვამ დიდის სასოებით ჩაანთო ყველას გულში... პარნელმა სიტყვა სთქვა. იგი ხალხს აქტიურ სამოქმედოდ იწვევდა.

„თქვენის ოფლით გაპოხიერებული მიწა წყალი არავის არ უნდა დაანებოთ, თქვენი ადამიანური უფლებანი აბუჩად არავის არ უნდა ააგდებინოთ. ნუთუ თქვენც მოითმენთ ასეთს გათახსირებას, ასეთ აბუჩად აგდებას, ასე ფეხქვეშ გაქელვას, როგორც იწვნიეს თქვენმა მამებმა 1847 წელს"...

„არა!... კმარა მოთმენა!.. ძირს ლენდლორდები! . იჯარები მოვსპოთ!"... გრგვინავდა ხალხი.

იმავე წელს, 16 აგვისტოს, დევიტმა კესტლბერში გამართა მიტინგი. იმ წლიწადს საშინელი მოუსავლიობა იყო და შემაძრწუნებელი შიმშილობა გამეფებულიყო. ხალხის გულისთქმა ბუნებრივად დევიტის გეგმისაკენ მიემართებოდა: სამიწაწყლო საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვდა. და, აი, კესტლბერის მიტინგზე გადასწყდა ახალი ლიგის დაარსების საქმე. ლიგას სახელად „მეიოს ეროვნულ სამიწაწყლო ლიგა" უწოდეს. მისი დანიშნულება და აზრი შემდეგ უმთავრეს მუხლებით განისაზღვრებოდა: 1) ლიგა ესარჩლება თავის წევრს და მემამულეთა დაჩაგვრისა და დაბრიყვებისაგან იფარავს; 2) მიწად-მფლობელობის მოსაწესრიგებლად ლიგა ყოველ ღონისძიებას ხმარობს; 3) უზომო იჯარის დამწესებელი მემამულე, ანუ უდროვოდ მოიჯარადრის დამთხოვნელი პრესის საშუალებით უნდა ამხილონ და გაჰკიცხონ. პრესაში უნდა გამოჰფინონ არამც თუ ასეთ მემამულეთა გვარები, არამედ იმ მოსამსახურეებისაც, რომლებიც მემამულის ბრძანებას აასრულებენ, აგრეთვე იმ ფერმერისაც, რომელიც მემამულისგან გაძევებულ მოიჯარადრის მაგიერ აიღებს მიწას; 4) ლიგა ნივთიერად ეხმარება ლენდლორდების ძალმომრეობის მსხვერპლთა; 5) ლიგა ირლანდიის ყველა დაბა-ქალაქებში აარსებს კლუბებს და მისის შემწეობით სცდილობს მეტი შეგნება და სინათლე შეიტანოს ფერმერთა გონებაში, განსაკუთრებით გაუთვალისწინოს, შეაგნებინოს სამდგილ-მამულო საქმის საკითხი და სხვ.

იმ ლიგას ბევრი გავლენიანი ფენიებიც მიემხრო. ლიგა დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. დევიტი მოგზაურობდა ირლანდიის მიყრუებულ კუთხეებშიაც კი და საქმეს აგვარებდა იგი, სხვათა შორის, სწერს თავის დღიურში: „ოჰ, რა სიბნელე და სიბეჩავე დაბუდებულა გლეხთა (ფერმერთა) ოჯახებში!.. სინათლის ნატამალს არ აკარებდა მათ მთავრობა, პოლიცია და მემამულენი... დაჩიავებული ჯანმრთელობა, ზნეობრივი სიღუხჭირე და სნეულებები დასტრიალებს ხალხის კარ-მიდამოს... ეს ფეოდალიზმისა და მთავრობის უტიფრო ძალმომრეობის სამარცხვინო ძეგლია"...

1879 წ. შიმშილობამ გააათკეცა დევიტისა და პარნელის ენერგია და საქმიანობა. ისინი ერთგულად ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ხალხს, ნივთიერ დახმარებას აწვდიდნენ... მთავრობა?.. მთავრობა მთავრობობდა... ხალხის შიმშილობას უარჰყოფდა ოფიციალურად და მილიონ ხალხს არწმუნებდა: რის შიმშილობა, რა შიმშილობა!. ეს სულ „ლიგის" მიერ შეთხზული ამბავიაო"...

იმავე წელს „მეიოს ლიგა" იმდენად გაფართოვდა, რომ დევიტმა და პარნელმა მას უწოდეს „ირლანდიის სამდგილ-მამულო ლიგა".

საინტერესოა პარნელის აზრი ფერმერების შესახებ. იგი დევიტს უზიარებდა თავის მოსაზრებას და დასძენდა: თუ მიწების დარიგება-დასაკუთრება იმ დრომდე მოხდა, სანამ ირლანდიის თვითმართველობა ეღირსება, სახიფათოა, რადგან წვრილი მესაკუთრენი იშვიათად გამოიდებენ ხოლმე თავს, იშვიათად გამოიჩენენ პოლიტიკურს გულადობას, რისკს...

ინგლისის მთავრობა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მათს მოღვაწეობას. მალე დევიტი დაატუსაღეს. პარნელმა მიტინგი გამართა, რომელზედაც ზიზღი და გულისწყრომა შეუთვალეს მთავრობას. მიტინგზე ხალხი იარაღით მისულიყო. საკმაო იყო მცირე საბაბი, რომ ხალხის დაგუბებულ დრტვინვას პირი ექნა. მთავრობამ ჯარი და პოლიცია შემოარტყა გარს იმ უბანს, სადაც მიტინგი იყო, მაგრამ ახლო მისვლა, ან ხელის შეშლა კი ვერ გაბედა. დევიტის საქმის გარჩევა საკმაო საბუთების უქონლობით გადაიდო. ამ ხანებში პარნელი და დილონი ამერიკაში გაემგზავრნენ. პარნელმა მთელი თავისი ნიჭი და მჭევრმეტყველება ამ ლიგის გამარჯვებას შეალია. მისის მეცადინეობით გაერთიანდა ირლანდიის რევოლუციონერთა და კონსტიტუციონისტთა ძალები, ამერიკელ ირლანდიელთა და თვით ამერიკელთა გულისხმიერება ირლანდიის გამანთავისუფლებელ მოძრაობისაკენ დაიძრა. იგი ბეჯითად არწმუნებდა ამერიკელ ფენიებს, რომ იგინიც მას მიმხრობოდნენ:

— რა თქმა, უნდა ყოველი შვილი ირლანდიის სალკლდეებისა მოვალეა სამშობლოს სამსხვერპლოზე დაანთხიოს თავისი სისხლი, მაგრამ გაღატაკებულ, უიარაღო გლეხების ამხედრება და მათი ადრეული წაქეზება—სამშობლოს ღალატია, ხალხის ორგულობაა... მიეცით ხალხს სრული თავისუფალი გზა, მიეცით მას შესაფერი იარაღი და მაშინ... გაუძეხით წინ"...

პარნელის მოგზაურობა ამერიკაში დაუსრულებელი ტრიუმფი იყო. მან სამის თვის განმავლობაში 16 ათასი მილი (112 ათასი ვერსი) გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს აქვთ კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება.

7) მინისტრები პასუხის-მგებლები არიან ხალხის წარმომადგენლობის წინაშე, რომლის წევრებსაც შეკითხვის და ინტერპელიაციის უფლება უნდა ჰქონდეთ.

შ. ნ

* * *

პოლიტიკურ პარტიების საერთო მიტინგი ვარშავაში

20 ოქტომბერს ვარშავის ფილარმონიულ საზოგადოების დარბაზში პოლონეთის ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა კრება მოხდა. კრება გაიმართა პოლონეთის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა კავშირის ინიციატივით. თავმჯდომარედ აირჩიეს ინჟინერი ოსტახევიჩი. კრების მეთაურმა პარტიების წარმომადგენლებს კენჭი ამოაღებინა და რიგრიგად ალაპარაკა. პირველად ლაპარაკის ჯერი ერგო ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის — „ბუნდის" წარმომადგენელს, მერე — პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელს, მესამე — პროგრესისტ-დემოკრატების პარტიისას, მეოთხე — „რეალურ პოლიტიკის" პარტიისას, მეხუთე — სოციალ-დემოკრატს, მეექვსე — პოლონეთის სახელმწიფოს მომხრე პარტიის წარმომადგენელს. კრების დასაწყისს სოლტანმა, სეროშევსკიმ და კრუჟიცკიმ სიტყვები წარმოსთქვეს მანიფესტისა და მებრძოლთა შესახებ. შემდეგ პარტიულ პროგრამებზე ატყდა კამათი.

ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ — „ბუნდის" პარტიის წარმომადგენელმა მოითხოვა პოლონეთის ავტონომია და პროლეტარიატისა და ებრაელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა. „ბუნდის" ყველა წევრმა პოლონური ენა იცის — განაცხადა ორატორმა — და პოლონელების ეროვნული გრძნობანი თავიანთ საკუთარ დარდად მიაჩნიათ. პოლონეთში ებრაელები მოითხოვენ ისეთივე უფლებებს, როგორც ექნებათ პოლონელებს. განსაკუთრებით ებრაელებისთვის ჩვენ არაფერს ვთხოულობთ.

შემდეგ ილაპარაკა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „პროლეტარიატ"-ის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ ვარშაველებმა ამ პარტიას მადლობა უნდა უთხრან, რადგან მთელ პოლონეთში ყველაზე მედგრად ეს პარტია იბრძოდა და გაფიცვასაც ის უდგა სათავეში. „პროლეტარიატ"-ის პარტია შემდეგშიაც იბრძოლებს წინააღმდეგ ბურჟუაზიისა, კაპიტალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატებისა, რომელნიც ხშირად მთავრობას მხარს უჭერენო. დასასრულ, ორატორმა განაცხადა, რომ პოლონეთის სოციალ დემოკრატიული პარტია „პროლეტარიატი" პოლონეთისთვის ავტონომიას თხოულობსო.

პროგრესისტ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელმა: „კომერ. გაზ."-ის რედაქტორმა კემპნერმა განაცხადა, ჩვენი პარტია თხოულობს პოლონეთის ავტონომიას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას და 8 საათის სამუშაო დღეს.

ორტოდოქსალ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა განაცხადა: ჩვენი პარტია ყველაფერში მხარს უჭერს რუსეთის სოციალ-დემოკრ. პარტიას. ამჟამად პოლონეთისთვის ჩვენს პარტიას შეუძლებლად მიაჩნია ავტონომია იმიტომ, რომ ეს ავტონომია ფიქცია იქნება იმ დრომდის, სანამ მთელ რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება დემოკრატიულ პრინციპებზე არ იქნება დამყარებული. პოლონეთის ავტონომიას მხოლოდ მაშინ მიიღებს, როცა რუსეთის ყველა განაპირა ქვეყნები მიიღებენ მას. ჩვენი პარტია მომხრეა კულტურულ ავტონომიისა ებრაელთათვის.

ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელმა გოსტიცკიმ სთქვა: ჩვენი პარტია თხოულობს ავტონომიას, რომელიც თვითონ ხალხმა უნდა შეიმუშავოს. ჩვენს პარტიას სწამს მხოლოდ პირდაპირი და პატიოსანი ბრძოლა და რუსეთისგან გამოცალკევება აზრადაც არ ჰქონია. პარტია უმთავრესად ცდილობს პოლონელ გლეხისთვის, ე. ი. ხალხისთვის და არა მარტოოდენ პროლეტარიატისათვის, რომელიც ხალხი კი არ არის, არამედ მისი ერთი ნაწილია.

პოლონელ სოციალისტთა წარმომადგენელმა განაცხადა: ჩვენი პარტია თხოულობს პოლონეთის სრულს ავტონომიას სეიმით, რომელიც საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით უნდა შესდგეს. ჩვენ უმთავრესად ვზრუნავთ მუშა ხალხისთვის და პროლეტარიატისათვის.

კრების დროს წამდაუწუმ საშინელი აურ-ზაური და ხმაურობა იყო. დასასრულ, ყველა პარტიებმა გაფიცვის გაგრძელება დაადგინეს (ნ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 2. კრონშტადტის მატროსების საქციელი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებად არ ჩასთვალეს. მატროსები მისცეს სასამართლოში სიმთვრალის დროს უწესოების ჩადენისა და ძარცვა-გლეჯისთვის. ამ დანაშაულობისთვის სიკვდილით ვერ დასჯიან, რადგან მთავრობას ისეთი განკარგულება არ მოუხდენია, რომელიც მატროსებს არ შეესრულებინოთ.

ქუთაისი, 3 ნოემბერი. შუადღისას, ვოკზალთან ვიღაც უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს ქუთაისის სადგურის უფროსის თანაშემწე კუზნეცოვი. ეჭვი მიიტანეს რამდენიმე კაცზე და დაამატიმრეს.

ფოთი, 3 ნოემბერი. ქალაქის მოურავმა ნამესტნიკისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: სამხედრო წესები გაუქმებულია, ჯარები გამოვიწვიეთ. პოლიტიკური გაფიცვები შესწყდა. მატარებლების მიმოსვლა გურიაში დაიწყო. ფოთის რკინის გზის ლიანდაგი აყრილია. ტფილისის ფოსტა მივიღეთ. ოდესაში მოკლულ სახოხტარაშვილის დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. წარმოთქმულ იქმნა სიტყვები. პოლიტიკურ პარტიების მიტინგები დიდძალი ხალხის შეკრებით იმართებოდა რამდენისამე დღის განმავლობაში. ხალხიცა და ორატორებიც მშვიდობიანობის მომხრენი იყვნენ. პოლიცია არსად ჩანდა.

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულება.

რადგანაც ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ოზურგეთის მაზრა დაიარა და გამოარკვია საქმის ნამდვილი მდგომარეობა გურიაში, რომელიც უკანასკნელ გაფიცვის დროიდან ყოველი კუთხიდან მოწყვეტილი იყო ტელეგრაფისა და რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭების გამო, და ამასთან ერთად გამოირკვა ქუთაისის გუბერნიის დანარჩენ მაზრების მდგომარეობაც, შესაძლოდ ვსცანი, ამ გუბერნიაში სამხედრო წესები ავხსნა და ამასთან ერთად გავაუქმო დროებითი გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა და გურიაში გაგზავნილ ჯარებისაგან შემდგარი რაზმი უკანვე გამოვიწვიო, რის გამოც სათანადო განკარგულებანი უკვე მოვახდინე.

* * *

ახალი ამბავი

გუშინ, 3 ნოემბერს, **გრაფმა ვიტტემ დეპეშით აცნობა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს**, რომ სრულიად კანონიერია ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსის შენიშვნა იმის შესახებ, რომ თქვენ, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, 17 ოქტომბრის მანიფესტი არ შეგეხებათ და, მაშასადამე, არც ნება გაქვთ საერთო მოთხოვნილებათა შემუშავებისაო. გრაფი ვიტტე ურჩევს მოხელეებს, სევასტიანოვის განკარგულებას დაემორჩილონ და მოსკოვის ბიუროში მონაწილეობა არ მიიღონ.

◆ **გურიაში აღარ მიემგზავრებიან** საზოგადოებისაგან ამორჩეული წარმომადგენელნი და ნამესტნიკის მიერ დანიშნული გენ.-ლეიტ. მალამა და ბატონი ვეიდენბაუმი, რადგანაც ქუთაისის გუბერნატორმა ბ-ნმა სტაროსელსკიმ დაარწმუნა ნამესტნიკი, რომ გურია ახლა სრულიად დამშვიდებულიაო. ბ-ნმა სტაროსელსკიმ დაბეჯითებითა სთხოვა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, ქუთაისის გუბერნიაში ახლახან შემოღებული ომიანობის დროის წესები გააუქმოს, რადგანაც მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიანო და შესაძლოა ხალხმა ვეღარ მოითმინოს და რაიმე უბედურება დატრიალდესო. ნამესტნიკმა უკვე ბრძანება გასცა ომიანობის დროის წესების გაუქმების შესახებ.

◆ გუშინ **საგანგებო მატარებლით წავიდა ბათუმისაკენ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი**, რომელსაც გაჰყვნენ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რათა რკინის გზის გაფიცულ მოსამსახურეებმა ამ მატარებელს გზა მისცენ და თავისუფლად გაატარონ ბათუმამდის.

◆ გუშინწინ, 2 ნოემბერს, მამა-დავითის **მთაზე ტფილისის ყველა მოხელეების მიტინგი იყო დანიშნული**, მიტინგს მოხელენი ნაკლებად დაესწრნენ, რადგან დაწესებულებათა უფროსთ მოხელეთათვის მიტინგზე წასვლა დაუშლიათ. სახაზინო პალატის უფროსს მოხელეებისთვის რიხით გამოუცხადებია: მიტინგზე წასვლა არ გაბედოთო, მაგრამ მიტინგს ამ დაწესებულების ზოგიერთი მოხელენი მაინც დაესწრნენ. მიტინგზე გადაწყდა, რომ ყველა დაწესებულებებიდან არჩეულ იქმნეს ორი კაცი, რომელთაც თავიანთი მოთხოვნილებანი უნდა შეიმუშაონ. შემდეგი მიტინგი დანიშნულია კვირისათვის.

◆ როგორც შევიტყვეთ, **უქმდება საგუბერნიო ჟანდარმთა გამგეობა**.

◆ როგორც სადგურ **ძირულიდან გვატყობინებენ**, 2 ნოემბერს ორი მატარებელი ერთმანეთს დასჯახებია და ორივე ლიანდაგიდან გადავარდნილა. მატარებლები ჯარის კაცებით ყოფილა სავსე. მომკვდარა 8, დაჭრილა 27 ჯარის კაცი.

◆ ბაქოში, **მანთაშევის ქარხანაში**, პოლიციას უპოვნია... ზარბაზანი. ზარბაზანი გაუკეთებიათ კედელში ქუჩის პირას და კარტეჩით გაუტენიათ.

◆ ხვალ, 5 ნოემბერს, ტფილისის სავაჟო მესამე გიმნაზიის შენობაში, რამდენისამე საკითხის გადასაწყვეტად, დანიშნულია ამ სასწავლებლების **მასწავლებლებისა და უფროს კლასის მოსწავლეთა მიტინგი**.

◆ ქ. ნოვოროსიისკში გუბერნატორის თხოვნით კავკასიის ნამესტნიკმა **გაძლიერებულ დაცვის წესები გააუქმა**.

◆ ყარსის ოლქის უფროსმა აცნობა კავკასიის ნამესტნიკს, უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში ოლქში **სრული მშვიდობიანობააო**. ამასვე ატყობინებენ ზაქათალის ოლქიდან და ჯებრაილის მაზრიდანაც.

◆ განზრახვა არის, **დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ**, ტფილისის სახაზინო თეატრში ქართული წარმოდგენა გამართონ.

◆ ნავთლუღის მცხოვრებლებმა გუშინ ქალაქის გამგეობას სთხოვეს, რომ 1 პრიბილევის ქუჩაზე გაყვანილ იქმნეს **ელექტრონის ტრამვაის შტო**.

◆ ხმოსანმა ს. თ. ჭრელაშვილმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ **სახალხო სახლის დასაარსებლად ნაძალადევში** გაიღოს ერთხანად 5 ათასი მანათი და საჭირო მიწის ნაჭერი.

◆ გუშინ, 3 ნოემბერს, დაკრძალეს გვამი 22 **ოქტომბერს დაჭრილის გიმნაზიელის** ვლადიმერ აზარაპეტოვისა. ცხედრის გასვენებას მრავალი ხალხი დაესწრო.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ 2 ნოემბერს **მოუკლავთ სადგურის უფროსის თანაშემწე** ბ-ნი კუზნეცოვი.

◆ **მოხელეების მიტინგზე**, 12 ნოემბერს, სიტყვა სთქვა ერთმა ჯარის კაცმა, რომელმაც გადასცა იქ შეკრებულთ, რომ ჩვენ, საპიორის ბრიგადა, თქვენ თანაგიგრძნობთ და თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ, რადგან ჩვენი, ჯარის კაცთ, მდგომარეობაც, მეტად მძიმე ასატანიაო.

◆ გუშინ ხმოსანმა ა. ს. ბაპოვმა ქალაქის მოურავს მისცა განცხადება, რომელშიაც წინადადებას აძლევს, რომ ტფილისში, 17 ოქტომბრის მანიფესტის სახსოვრად, **დაარსდეს თავისუფალი სახალხო უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკური მუზეუმი**. ერთ დროებით ხარჯად, ხმოსანის აზრით, ამ საქმეს 150—200 ათასი მანათი მოუნდება, ხოლო ყოველ წლივ 15—20 ათასი მანათი.

◆ ბაქოს დრ. გენერალ-გუბერნატორის ფადეევის თანამდებობიდან გადაყენების შესახები **ხმები არ გამართლდა**. როგორც ადგილობრივ გაზეთებს გაუგიათ, სამხედრო წესებს ბაქოში ახსნიან მხოლოდ იანვარში, ისიც იმ პირობით, თუ მანამდის ქალაქში არავითარი უწესოება არ მოხდება.

◆ „ვოზროჟდენიეს" პეტერბურგიდან **დეპეშით ატყობინებენ**: იქ მოვიდა პოლონელთა 22 წარმომადგენელი, რომ გაიგონ, როგორ იმოქმედებენ რუსეთის პარტიები და წარუდგინონ ვიტტეს პეტიცია ავტონომიის შესახებ, რომელზედაც მთელ ხალხს უწერია ხელი.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკიმ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ლომბარდის დებულების მესამოცე მუხლის შეცვლის შესახებ **შუამდგომლობა** აღძრას, რათა ქალაქის ლომბარდს **საქველმოქმედო დაწესებულების ხასიათი მიეცეს**. თუ საქველმოქმედო დაწესებულებად იქმნება გადაკეთებული ქალაქის ლომბარდი, — სწერს თავადი არღუთინსკი, — მაშინ სამრეწველო გადასახადს აღარ გადაადებინებენ და მცხოვრებთაც სარგებლობას მოუტანსო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილემ რახმანინმა აცნობა ყველა სადგურებს: გამოუცხადეთ ყველა მოსამსახურეთ, რომ რადგანაც სამხედრო წესი აიხსნა გურიაში და **ჯარი უკან უნდა დაბრუნდეს, ამისათვის შეუდგნენ სამსახურის ასრულებას**, რომ შეძლება მოგვეცეს ჯარი უკან წამოვიყვანოთო.

◆ გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, გავიდა **სახალხო მატარებელი ბათუმისაკენ**. იმედი აქვთ, რომ რკინის გზაზე მოძრაობა თავის კალაპოტში ჩადგება.

◆ დამზადებულ **სამხედრო მატარებლების** და იმ ვაგონებიდან, რომლებიც ტფილისის სადგურზე იდგა, ბარგი ისევ გადმოალაგეს, რადგან გურიისაკენ გაგზავნილს უკანვე აბრუნებენ.

◆ გუშინწინ, 2 ნოემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, ავჭალის ქუჩაზე შემდეგი ამბავი მოხდა. ვაგონში სხვათა შორის იყო სამი მგზავრი. ერთი მღვდელი და ორიც ერის კაცი — უბნის ზედამხედველი ახალაშვილი და ვიღაც უცნობი. ბ-ნი ახალაშვილი ამ უცნობს ტკბილად და მეგობრულად ესაუბრებოდა. უცბად მღვდელი ეცა ამ უცნობს, წაავლო ხელი და დაიყვირა: „ამ კაცმა ახლა ოცდა-ათი თუმანი ამომაცალაო"? ეს კაცი თურმე ცნობილი ჯიბგირი ყოფილა. ვიდრე ხალხის ჩოჩქოლი დაწყნარდებოდა, უბნის ზედამხედველი ახალაშვილი სადღაც მიიმალა, ხოლო მღვდელს კი ეს კაცი ხელიდან გააგდებინეს.

◆ გარე-კახეთის წარმომადგენლებს, როგორც გვწერდით, გუშინწინ, 2 ნოემბერს, სუდთან კრიმ-გირეი დაჰპირდა, რამდენიმე კაცს ნამესტნიკი მიგიღებთ ხუთს საათზეო. წარმომადგენლები შემდეგ ავლაბარში, თავისს ბინაზე წავიდნენ და ამოირჩიეს შვიდი კაცი: დავით ნახუცრიშვილი, იოსებ იმედაშვილი, სვიმონ ნახუცრიშვილი, თომა ქოქრაშვილი, ი. შავგაცოშვილი, ა. სამჭკუაშვილი და ნიკ. მგელაძე, დეპუტაცია 5 საათზე კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა და გადასცა, რომ მთელი გარე-კახეთის მცხოვრებლებმა თავიანთ წარმომადგენლებად აარჩიეს და გურიიდან ჯარის გამოყვანაზე შუამდგომლობენ. ნამესტნიკმა უპასუხა, რომ გუბერნატორმა სტაროსელსკიმ ის დაარწმუნა, რომ გურიაში არავითარი განსაკუთრებული მოძრაობა არ არის და გურულთა წინააღმდეგ რეპრესიული ღონის-ძიებანი არ იქმნება მიღებული, თუ შემდეგშიაც თავდაჭერილნი იქმნებიან. დეპუტაციამ ამის გამო ნამესტნიკს მადლობა გადაუხადა და ნამესტნიკთან 20 წუთს იბაასა. ნამესტნიკმა დეპუტაციას აცნობა, რომ დღეიდან გორის მაზრიდან ეგზეკუციები გამოყვანილ იქმნებიან და ყველას, იქ დაჭერილებს, გაანთავისუფლებენ. დეპუტაციამ კიდევ მადლობა გადაუხადა ნამესტნიკს და მხიარულად გამოესალმა.

იარა, 62 ქალაქში იყო და ლიგის სასარგებლოდ 350 ათასი დოლარი (335 ათას თუმნამდე) შეაგროვა. პარნელის სახელი სადიდებელი გახდა ყველგან, მის მოსასმენად მიტინგებს არამც თუ ირლანდიელები, თვით წარჩინებული მოღვაწე ამერიკელებიც აღტაცებით ესწრობოდნენ...

ამავე დროს ინგლისის პარლამენტში გლადსტონი საქმიანობდა. მისის მეოხებით პალატა გადადგა და ახალი არჩევნები დაინიშნა... პარნელი იძულებული იყო სამშობლო კერას დაბრუნებოდა. გლადსტონი კი უკვე ფეხმაგრად გაბატონებულიყო პარლამენტში. პარნელი მაინც ენერგიულად განაგრძობდა „ლიგის" საქმეებს. 1880 წ., 16 სექტემბერს ენნისში პარნელმა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვის შემდეგი დღესაც თვალსაჩინოდ გამხდარა. იგი ურჩევდა ხალხს, რომ გაეძევებინათ, შეერცხვინათ, უნძრახად დასდგომოდნენ, აღარ გაჰკარებოდნენ, ყოველივე მეზობლური კავშირი გაეწყვიტათ იმ მემამულესთან (ლენდლორდთან), ვინც ფერმერს მიწა-წყლიდან დაითხოვდა, ვინც მემამულის ბრძანებას ასრულებდა, ან ვინც გაძევებულ ფერმერის მიწას იჯარით აიღებდა. ასეთი ღონისძიება მეტად გონიერული გამოდგა და მალე მოეფინა მთელს ირლანდიას. ბევრი იტანჯეს მემამულეებმა, მაგრამ გასაქანი აღარსაითა ჰქონდათ. ერთი მემამულე ბ-ნი ბოიკოტი მეტად გაჯიუტდა და ლიგის დადგენილებას ეურჩებოდა. ლიგამ პირველი სამართლის ჯოხი ბოიკოტზე გადაამტვრია, გაჰკიცხა და უნძრახად დაადგნენ მას მეზობლები, ვაჭრები, მედროგეები, ე. ი. ყველა. ბოიკოტი მდიდარი და შეძლებული მემამულე იყო, ახლა კი მთელი ამოდენა საცხოვრებელი უოხრდებოდა უპატრონობით, მოუვლელობით. ბოლოს ჩალის ფასად გაჰყიდა თავისი ავლადიდება და გული ნაღველით აკიდებული — გადაიხვეწა თავის სამშობლოდან. ეს იმდენად ღირს შესანიშნავი ამბავი იყო, რომ არამც თუ მთელი ირლანდია, ინგლისის პრესსაც ალაპარაკდა და ბოიკოტის ბედის-წერა ყველამ გაიგო. მას მერე ესეთი გაძევება-გაკიცხვაც უნდოდათ, ბოიკოტს მოაგონებდნენ. დღეს კი მთელს ქვეყანაზე გავრცელდა ხალხის გულისწყრომის მსხვერპლის გვარი — ბოიკოტი — და ყველამ იცის იმ სიტყვის შინაარსი — მიზნეულობა.

ირლანდიაში „ბოიკოტის" გარდა ტერორიც გავრცელდა, ბევრ მოურჯულებელ მემამულეს საიქიოსაც ისტუმრებდნენ. 1880 წლის განმავლობაში აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებული დანაშაულობა 1700 აღემატებოდა.. საქმის გამწვავებამ ინგლისის მთავრობაც სეგონებელში ჩააგდო. გლადსტონის ლიბერალური კაბინეტი ახალ ბილლს ამზადებდა. ამ ბილლის ძალით ირლანდიაში მოძრაობა რეპრესიების გაძლიერებით სურდათ ჩაექროთ. პარნელი მედგრად ეურჩებოდა ამ ბილლის დაკანონებას. პარლამენტში კამათმა 41 საათს გასტანა შეუწყვეტლივ, მაგრამ გლადსტონმა გაიმარჯვა... სპიკერმა საკითხს პირდაპირ კენჭი უყარა, ბილლი ხმის უმეტესობით მიიღეს. 1881 წ. 1 მარტიდან ეს ბილლი ძალაში შევიდა. გლადსტონი, დიდებული დიპლომატი და შესანიშნავი პოლიტიკი, ღრმად ჩაჰკვირვებოდა ირლანდიის აღრეულობის სათავეს, მის პოლიტიკურ ალღოიანობას ვერ გამოეპარა ის საცადი ბოლო, საიდამდინაც მიიყვანდა ირლანდიას პარნელისა და დევიტის ბელადობით — ეს იყო ირლანდიის სრული ჩამოშორება. გლადსტონი კი უპირველესად სახელმწიფოს მთლიანობის მოტრფიალე იყო. ამისათვის ამ ბილლით მას სურდა შეეშინებინა, დაეტუქსა ირლანდიის მოწინავე ძალნი. ამ ბილლის გარდა გლადსტონი შეუდგა ახალ აგრარულ კანონის შემუშავებას, ისეთ კანონისას, რომელიც არსებითად გააბათილებდა „ლიგის" მუხლებს, რომელიც დაათათბირებდა ხალხს, ფერმერების გულს მოიგებდა და ამ სახით პარნელსა და დევიტს ჩამოაშორებდა ხალხისაგან, მათ შორის უსაზღვრო უფსკრულს შექმნიდა. გლადსტონი მტკიცედ შეუდგა ამ გეგმის შესრულებას, მისის კანონ-პროექტით ფერმერს იფარავდა მემამულის თავნებობისაგან „სამართლიან რენტის" დაწესება. ეს სამართლიანი რენტა უთანხმოების დროს სასამართლოს უნდა განესაზღვრა. ამ რენტას მეოხებით ფერმერი გადაიხდიდა მხოლოდ ქირას, იჯარის იმ მიწისას, რაც უჭირავს და არა ყველა წარმოებისაგან ნაწილს, როგორც იყო აქამდე. ფერმერი მიწას 15 წლით იღებს, რომლის დროსაც მემამულე ვერ დაითხოვს მას. ყოველ შემთხვევაში საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს და „სამართლიან რენტას" მიხედვით გაასამართლოს..

ერთის შეხედვით გლადსტონმა საკმარისად მოილიბერალა თავი და უებრო მოსარჩლედ მოევლინა ფერმერებს. მაგრამ პარნელი და დევიტტი უნდობლად უყურებდნენ გლადსტონის ლიბერალობას და არც უსაფუძვლოდ: კანონ-პროექტი ლამაზად იყო შედგენილი, მაგრამ ეს „სამართლიანი რენტა" ხომ მოსამართლეებს უნდა განესაზღვრათ და მაშინდელი მოსამართლენი კი ნათლიმამობდნენ მემამულეებს... მაინც ამ კანონის შემოღებით ცოტაოდენი შეღავათი ენიჭებოდათ ირლანდიის გლეხებს — ფერმერებს... „ლიგამ" კიდევ გამოსცა მოწოდება, რომ, უკეთუ ლენდლორდებმა მეტად სამძიმო გადასახადები დაგაკისრონ, სრულებით ნურას გადაიხდით, სანამ თვით მემამულე არ დაადგება დათმობის გზას, ხოლო თუ გაჰბედავს იგი და პოლიციას დაგაყენებთ თავზე, ბოიკოტი არ ასცდებაო... გლადსტონი კი თავის პოლიტიკაში უფრო შორს წავიდა. მან ირლანდიის „სახსნელად" ხომ „სამიწაწყლო" კანონი გამოსცა, ამავე დროს ირლანდიაში პოლიციასა და ჯარს აძლიერებდა, ვიცე კოროლს უსაზღვრო უფლებებს ანიჭებდა. „ირლანდიის საქმეთა მთავარი მდივანი" ფორსტერი ურცხვად პარპაშობდა ირლანდიაში, თვალდათვალ ამცირებდა ხალხს, განგებ აბრაზებდა და საწინააღმდეგოდ იწვევდა... ბევრი „ლიგის" წევრი ჩასვეს ციხეში, ბევრი გადაასახლეს კიდეც... „ლიგა" კი დღითი დღე იზრდებოდა. 1880—1881 წლების განმავლობაში ყოველ კვირეული შემოსავალი ლიგისა 1000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა (950 თუმანს). ეს ფული დატუსაღებულ და უმიწაწყლოდ დარჩენილ ფერმერთა ოჯახებს ურიგდებოდათ. ფორსტერი ელიგეშად საბელს უთრევდა პარნელსაც, მაგრამ საბაბი ვერ მოეგდო ხელში. მაინც 1881 წელს 26 იანვარს მოახერხეს პარნელის სამართალში მიცემა. „ხალხის აჯანყებას" სწამებდნენ პარნელს, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს და გაამართლეს. გლადსტონის გამჭრიახობაც კი ვერაფერს იგონებდა პარნელის დასამარცხებლად. 1881 წლის 5—8 სექტემბერს საუბრის დროს გლადსტონი ეუბნებოდა ფორსტერს:

— „ირლანდიის დასამშვიდებლად ერთად ერთი უტყუარი გზა — პარნელის დასუსტებაა. რომ მოხერხდებოდეს ისე, რომ პარნელს მომხრეებმა ზურგი შეაქციონ... მაგრამ".

ეს იყო გლადსტონის გულის ნადები, მაგრამ მოხერხებულ დროს ელოდა. შემთხვევამაც არ დაიგვიანა... 1881 წ. 7 ოქტომბერს გლადსტონმა ლიდსში სიტყვა წარმოსთქვა და პარნელი საშინლად გაჰკიცხა:

— „პარნელი ირლანდიის მყუდრო ცხოვრებას აშფოთებს, აგრარულ ტერორს აქეზებს, ირლანდიელებს ინგლისის მთავრობას აძულებს და განხეთქილებასა სთესავსო.. მაგრამ ამისთანა მაინც აგიტატორთა და მის მიმდევართა ასალაგმავად ცივილიზაციას ჯერ ყველა საშუალება არ უხმარია... არის კიდევ ღონისძიება, რომელიც ხმას ჩააკმენდინებს ინგლისის მტრებს". გლადსტონი განზრახ მკაცრად მოეკიდა პარნელსა და მის პოლიტიკას. მას სურდა პარნელი გამოეწვია, წაეცდინა, ეთქმევინებინა რამ და მერე... ფორსტერმა იცოდა. გლადსტონსა და ფორსტერს ანგარიში გაუმართლდათ. პარნელმა, ორი დღის შემდეგ, უოგსფორდში წარმოსთქვა საპასუხო სიტყვა აუარებელ ხალხის წინაშე. პარნელმა დაურიდებლად გამოამჟღავნა გლადსტონის ლიბერალური წაჯიქ-უკუჯიქობა, მისი პოლიტიკანობის ავლადიდება, მთელი სიგრძე-სიგანით აიკრიფა ხელში და მოსმურტლულ ქაღალდისავით მსმენელთა ფეხთა ქვეშ განართხო...

პარნელი იმ საღამოს მძვინვარე, აფთარ ლომსა ჰგავდა, ღვთაებრივი, მიუწდომელი იყო მისი მჭერმეტყველობა, მისი აღფრთოვანება, მისი გულის წყრომა...

„თუ არ გსურთ, რომ უწყალო, გაიძვერა ინგლისელთა ფეხქვეშ არ ერთხებოდეს ირლანდიელი, იარაღი მუდამ მომარჯვებული უნდა გქონდეთ... ნამეტურ ეხლა, როდესაც ფუტურო „პროექტებით" სურთ ხალხის დაბრმავება, როდესაც ამ „სამართლიან რენტის" წყალობით ხალხის საბრძოლველ იარაღს ართმევენ ხელიდან... ოო, მე კარგად ვიცნობ ინგლისელებს, მათს ვერაგულ პოლიტიკას, რომელმაც სისხლად დასწრიტა მთელი ჩვენი სამშობლო... დღეს ეს გულკეთილი რაინდი (გლადსტონი), რომელიც ყოველ დაჩაგრულ ეროვნებათა მოსარჩლეობას ჩემულობს და ირლანდიას კი ურცხვად ფეხქვეშ ჰქელავს, ამ ბოლო დროს იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი მშვენიერი სახე დაენახვებინა... სახე, რომელიც მზად არის ცეცხლითა და მახვილით გაანადგუროს თქვენი კარ-მიდამო. გამხეცებულ ჯარის კაცთა ძალმომრეობის ფეხქვეშ გვიქადის ჩაგდოს ირლანდიის ხალხოსნური, სასიცოცხლოდ აფეთქილი გულის ზრახვანი... დიახ, გლადსტონმა მოიხსნა ფარისევლობის პირბადე"...

დარბაზი მოჯადოებულ იდუმალებით მოიცა, ინგლისელთა მიმართ სიძულვილმა აავსო ჰაერი, გლადსტონი, ორპირა, ელიდ, სისხლის მსმელ „ლიბერალად" გაიშხლართა მსმენელთა წინაშე... პარნელმა საშინლად დაამარცხა, გაანაცარმტვერა გლადსტონის პიროვნება, მისი პოლიტიკა...

მაგრამ ხან მოკლე იყო გამარჯვება იგი. სიტყვის დასრულებისას „ლიგის" მდივანი დაეკითხა პარნელს:

— ხომ არა ჰფიქრობთ, რომ დაგატუსაღებენ?..

— ვფიქრობ.

— მაშ, განკარგულება დაგვიტოვეთ. თქვენს მაგიერობას ვინ გასწევს?

— ოო, თუ მე დამატუსაღეს, ჩემს ადგილს „მთვარის შუქი დაიჭერს"...

„მთვარის შუქი" ლიგის საიდუმლო კომიტეტის ტერორიულ აქტების შემმოწმებელი იყო. სამი დღის შემდეგ პარნელი სატუსაღოში იჯდა... გლადსტონი გამარჯვებული იყო... მაგრამ იმავ დროს აგრარული ტერორი მოედო მთელს ირლანდიას... პარნელის დატუსაღების მერე პოლიციამ ფრთები შეისხა, „ირლანდიის ლიგა" გააუქმეს, როგორც „მავნებელი და უკანონო დაწესებულება"...

გლადსტონი სდუმდა, მაგრამ დუმილიც აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან „ირლანდიის საქმეები ინგლისის სახელს ჩირქსა სცხებდა" და იგი, როგორც „სახელმწიფო კაცი" მოვალე იყო რაიმე ღონე ეღონა და.. დათმობის პოლიტიკას დაადგა. პარნელთან გამართა მოლაპარაკება და 10 აპრილს 1882 წელს პარნელი დროებით განთავისუფლეს...

ფორსტერი დიდს უარზე იდგა, მაგრამ გლადსტონს ნათქვამის გადათქმა არ უყვარდა.

გლადსტონი, 82 წლის მოხუცი გლადსტონი, გულმხურვალედ მიეგება პარნელს პარლამენტში და იმ დღიდანვე ერთს პლატფორმაზე შედგნენ — ეს პლატფორმა პარნელის პოზიცია იყო.

ფორსტერი გადააყენეს. მაგრამ ირლანდიელები, ასე მალე როგორ დაივიწყებდნენ ფორსტერის სიმხეცეს. 6 მაისს 1882 წ. ფორსტერის მოადგილე და ბორკი დუბლინში მოჰკლეს ქუჩაში... მკვლელები მიიმალნენ. ამ ამბავმა ისევ გაამწვავა საქმე. ირლანდიასა და მთავრობის შუა კვლავ გასწყდა კავშირი... პარნელიც მეტად შეაწუხა ამ მოვლენამ. მან საჯაროდ დაჰგმო უმიზნო ტერორი.

ინგლისელები ბეჯითად თხოულობდნენ, რომ ირლანდიაში რეპრესიები განეგრძნოთ. ირლანდიის ვიცე-კოროლად გრაფი სპენსერი დანიშნეს, რომელმაც უფრო სასტიკად შებოჭა ირლანდია რკინის სალტებში.

9 აპრილს 1883 წელს კავენდიშისა და ბორკის მკვლელობაში გარეულ პირთა საქმე გაირჩა. და ყველა სიკვდილით დასაჯეს... ჰომრული, ბევრი ბრძოლის შემდეგ, მაინც პროექტად დარჩა და ირლანდიის საკუთარი პარლამენტი მაინც ვერ ეღირსა.

ნ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

„ხელებს სისხლში ნუ გაისვრით“. თავისუფლების მიღების შემდეგ პოლონელმა ეს სიტყვები დევიზად გაიხადა. ერთ ყრილობაზე როგორღაც მოხვდნენ ბოქაულები ივანოვი და კონსტანტინოვი, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში ჩაიდინეს „საქმენი საგმირონი“. ხალხი ეცა მათ და შუაზე უნდა გაეგლიჯა, მაგრამ ვიღამაც დაიძახა: „ხელებს სისხლში ნუ გაისვრითო“ და ეს საკმარისი იყო. ხალხმა თავი გაანება, ხოლო კონსტანტინოვს ხელები შეუკრეს და იქვე ჯართან მდგომ აფიცერს გადასცეს.

◆ 24 ოქტომბერს, სადგურზე კავკასკაია (კავკავის რკინის გზა) **საზიზღარი მკვლელობა** მოხდა. ხულიგანთა ბრბომ მთავრობისა და სამღვდელოების წაქეზებით ცხეცურად აწამა მასწავლებელი ქალი დუგენცოვისა. ეს სურათი მოხდა ოლქის ატამანის ბრატკოვის თვალწინ, რომელსაც ორი ასეული კაზაკი თან ჰყავდა და იმის მაგივრად, რომ საბრალო ქალი დაეხსნა, ხალხს უთხრა: ეს ქალი არა კეთილ საიმედოა, აიღეთ და, რაც გინდათ, ის უყავითო. დუგენცოვა მოჰკლეს ჩაქუჩებითა და წალდებით, შემდეგ ჰაერში აისროლეს და ამ გვარად აწამეს, სანამ საბრალომ სული არ განუტევა.

◆ **„მანიფესტის განმარტება“** 22 ოქტომბერს, ე. ი. მანიფესტის გამოცხადების მეხუთე დღეს, ხელმწიფე იმპერატორმა ვარშავის გენერალ გუბერნატორს გენ. სკალონს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„გუშინ წავიკითხე თქვენი განცხადება, რომლითაც ხალხს მანიფესტის შინაარსი განუმარტეთ, სავსებით ვეთანხმები თქვენ აზრს, რომელიც სწორედ და ღირსეულად არის გამოთქმული. გულწრფელად გმადლობთ დაუღალავ ენერგიისთვის და გავალებთ გადასცეთ ვარშავის ოლქის ჯარებს ჩემი მხურვალე მადლობა ერთგულ სამსახურისთვის“.

„ნიკოლოზ“.

თუ როგორ განმარტა მანიფესტი ვარშავის გენ. გუბერნატორმა—დღეშიდან უკვე ვიცით: ცენზურის მოსპობის მაგივრად ცენზორთა ბრბოს ახალი, განსაკუთრებული ცენზორი, მიუმატა, მიტინგები აკრძალა და 17 ოქტომბრის მანიფესტი მთლად გაანადგურა. გენ. სკალონს მიეშველა გრ. ვიტტე, რომელმაც ისევ ძველ ხერხს მიმართა და პოლონეთში სამხედრო წესები შემოიღო.

◆ ერთმა კაზაკის აფიცერმა, ილჩენკომ მოსკოვის გაზეთებში გამოაცხადა, ამიერიდან **სამხედრო მუნდირის ტარება სამარცხვინო საქმედ მიმაჩნია** და სამსახურიდან გავდივარო.

◆ **მეორედ მოსვლის ნიშნები.** „რუს. სლ.“-ში დაბეჭდილია წერილი დონის კაზაკთა 1 პოკის 78 კაზაკისა, რომელნიც თავისებურ ენით აცხადებენ: „ჩვენ ეხედავთ და მშვენივრადაც გვესმის, რომ სხვა პოლკების კაზაკები მეტად ცუდად იქცევიან და მთელ ჩვენ ჯარს არცხვენენ. ძალიან გვწყინს, რომ გაზეთები არა სწერენ იმ პოლკების ნომრებს, რომელნიც ცუდად იქცევიან. მოსკოველებს ეგონებათ, ვითომ ჩვენი პოლკიც ასეთი იყოს, მაგრამ ჩვენ იესო ქრისტესა ეფიცავთ—არც არავისთვის გვიცემნია და ერთი ტყვიაც არ გვისვრია. აგერ 28 წელიწადია, რაც მოსკოვში ვართ და დღემდის ერთი მოსკოველიც ვერ დაგვემდურება. ჩვენ მხოლოდ იმას ვცდილობთ, რომ არავის ვაწყენინოთ. შევიკრიბეთ 78 კაზაკი, 11 ურიადნიკი და ფერშალი და ეს წერილი დავწერეთ“. ქვევით აწერია: „ყველაფერი მართალია. კაზაკების თხოვნით დავწერე უფროსმა ურიადნიკმა ს.—მა“.

◆ ვიტტეს მიერ ფინანსთა მინისტრად დანიშნული ი. შიპოვი, დღემდის სახელმწიფო ხაზინის დირექტორად იყო და **მოსისხლე მტერია კონსტიტუციისა და თავისუფლებისა.** აი, ასეთ კაცებს ნიშნავს მინისტრად ვითომდა ლიბერალი ვიტტე და ამავე დროს საზოგადოებასაც ემუდარება, დამშვიდდით და თქვენი თავისუფლების დაცვა მე მომანდეთო. რა უნდა მისცეს ვიტტემ ზემოხსენებულ რეაქციონერ მინისტრების (დურნოვო, ტოლსტოი, მანუხინი და სხ.) დახმარებით რუსეთს?

კორესპონდენცია

ქ. თელავი. 1 ნოემბერი სწორედ ღირს შესანიშნავი დღე იყო თელავის ცხოვრებაში. ამ დღეს, 17 ოქტომბრისთვის მანიფესტის ძალით, გაიმართა მიტინგი. მიტინგი შეეხო გურულების მდგომარეობას და არკვევდა, როგორ დახმარებოდა ამ მოწინავე მხარეს ჩვენის ქვეყნისას. მიტინგის დროს ყველა დუქნები დაიკეტა. კლუბის დარბაზში, სადაც მიტინგი იყო დანიშნული, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი; დარბაზი ვეღარ იტევდა. მიტინგზე დაახლოვებით 5,000 კაცამდე იქნებოდა.

დიდხანს ილაპარაკეს, ბოლოს გადასწყვიტეს: დეპეშის გაგზავნა ნამესტნიკთან, ხოლო დეპეშის პირისა გრაფ ვიტტესთან. დეპეშას შინაარსი შემდეგია: ჩვენ, კახეთის მცხოვრებნი, სულითა და გულით თანამგრძნობნი გურულებისა, რომელნიც მედგრად იბრძვიან თავისუფლებისათვის, შევიყარენით რიცხვით 5,000, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, და ერთხმად დავადგინეთ, მოვითხოვოთ თქვენგან, თქვენო ბრწყინვალებავ, გურიიდამ მთელი ჯარის გამოყვანა და აგრეთვე შეწყვეტა ახალ ჯარის გაგზავნისა, 2) სამხედრო წესების და გაზეკუცეების გაუქმება, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცხოვრებნი მოვსპობთ უყოველსავე კავშირს მთავრობასთან“.

ეს დეპეშები მაშინვე გაუგზავნეს დანიშნულებისამებრ.

ით—ნ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

2 ნოემბერი.

კრონშტადტი, 1. ქალაქში სიწყნარეა. საზღვაო ფორტები და ბატარეები გავსილია დატუსაღებულ მატროსებითა და ქვეითი ჯარის კაცებით. სამოქალაქო და საზღვაო გამგეობა სწარმოებს სამხედრო უწყების მონაწილეობით.

ვლადიმირის სობორში იპოვნეს მოპარული ნივთების საწყობი. ეს გარემოება პოლიციას აცნობა ერთმა ვაჭარმა, რომელიც თავის სადგომიდან ჰხედავდა, როგორ შეჰქონდათ ეკლესიაში მოპარული ნივთები.

ლიბავა, 1. ხმები იმპერატორ ალექსანდრე III ნავთსადგურში მომხდარ უწესობების შესახებ არ გამართლდა. მოვიდა ჯარი მეციხოვნე ჯარის გასაძლიერებლად.

დღეს დილით, შუაგულ ქალაქში მუშებმა შეიპყრეს კანცელარიის მოხელე, რომელიც ხულიგნებს აქეზებდა ებრაელთა დარბევაზე და იქვე მუშების სასამართლოში გაასამართლეს. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და იქვე რევოლვერით მოჰკლეს.

ასხაბადი, 1. შუაგულ აზიის რკინის გზაზე მოსამსახურენი კვლავ გაიფიცნენ. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

ქუთაისი, 1. ქუთაისი მკვდარ ქალაქს ჰგავს. რაც აქ სამხედრო წესები შემოიღეს, ქალაქის ცხოვრება სრულიად შესწყდა. გუშინდელ კრებაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას კავკასიის ნამესტნიკს და ვიტტეს წინაშე, რომ სამხედრო წესები ახსნან და გურიაში ჯარები აღარ გაგზავნონ.

ეკატერინბურგი, 1. შესდგა კავშირი საერობო და საქალაქო მოღვაწეებისაგან. გეგმა კონსტიტუციონალურ დემოკრატიულია.

ვარშავა, 1. ვარშავასა და კოლომნის შუა სადარაჯო რაზმმა იპოვნა ასაფეთქებელი ყუმბარა, რომლითაც რკინის გზას ლიანდაგი უნდა აეფეთქებინათ. გაფიცვა გრძელდება. ხვალ ვარშავის მაზრის რკინის გზების მოსამსახურენი მიტინგს გამართავენ.

ოდესა. ახლად დანიშნული გრადონაჩალნიკი გრიგორიევი თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა. ნეიდგარტი მოსკოვს წავიდა.—მეეზოვეები ქალაქის გამგეობას სთხოვენ, პოლიციის სამსახურიდან გაგვანთავისუფლეთო.

მექანიკურ ქარხნების მუშებმა პროფესსიონალური კავშირი შეადგინეს.

კურსკი, 1. ეპარქიალურ კრების პირველმა ორმა სხდომამ დიდის ინტერესით ჩაიარა. სასურველად სცნეს, რომ რუსეთის ეკლესია ოლქებად დაიყოს, ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა დაწესდეს საეკლესიო კანონების საფუძველზე და ამასთანავე ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. პატრიარქი და სინოდის წევრები უნდა ამოირჩიოს სამღვდელოების კრებამ. სინოდის წევრების რიცხვი უნდა განსაზღვროს ადგილობრივ ეპისკოპოსთა კრებამ.

ლონდონი, 1. კვლავ შესდგა დიდი კრება რუსეთში მცხოვრებ ებრაელების აწიოკების გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. ჩემბერლენი ძალიან სწუხს ამ ამბის გამო და ჰპირდება: მთელ ჩემ გავლენას მოვიხმარ, რომ დახმარება გავუწიო ებრაელებს და ვეცადო, რომ ან აღმოსავლეთ აფრიკასა და ან ბრიტანიის სხვა სამფლობელოში ებრაელთა ახალშენი დაარსდესო.

ქუთაისი, 1. ნამესტნიკის განკარგულებით გურიაში ჯარების გაგზავნა შეჩერეს. უკანასკნელი ცნობებით გურიაში იმდენი კაზაკი არ ამოუხოცნიათ, რამდენსაც წინად ასახელებდნენ.

პეტერბურგი. უმაღლესის ბძანებით, მოსკოვის სამხედრო ოლქის საოლქო ინტენდანტი გენერალ ლეიტენანტი ბუხოლცი დაინიშნა სამხედრო სამინისტროს უმთავრესს ინტენდანტის თანაშემწედ. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩარიცხული თავადი ურუსოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.—ტოლსტოი განათლების მინისტრად.

გაზეთებში დაბეჭდილია მუშათა დეპუტატების საბჭოს არა-ჩვეულებრივ კრების რეზოლიუცია, რომლითაც 2 ნოემბრის 12 საათიდან პოლიტიკურ გაფიცვას აცხადებენ.

ბელოსტოკი, 1. დროებით გენერალ-გუბერნატორმა გაანთავისუფლა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულნი. ათმა პოლიტიკურმა დამნაშავემ, რომლებიც ამნისტიის ძალით განთავისუფლებულნი არ არიან, მანგრ-მთანგრევს კამერა, დაარღვიეს ქვის ორი კედელი, ღუმელები, ფანჯრები ჩარჩოებით და შემდეგ საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადეს.

ვარშავა, 2. სახალხო განმანათლებელმა მინისტრმა უნივერსიტეტის დახურვაზე ნება დართო.

ბერლინი, 2. „ნორდდოიჩე-ალგემაინე“ აცხადებს, ინგლისის გაზეთების ცნობები, ვითომ გერმანიასა და ავსტრიას ამ ნახევარ წლის წინად გარდაეწყვიტოთ რუსეთის პოლონეთში ჯარების გაგზავნა, თუ რუსეთი ვერაფერს გაუწყობსო, სიმართლეს მოკლებულიაო. „ფოსიშე“ სიტყვით, პოლონეთში მხოლოდ მცირედი ნაწილი მოქმედობს ეროვნულ ნიადაგზე, ხალხი კი პოლიტიკურ თავისუფლების გარდა თხოულობს მხოლოდ სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლებას.

ლვოვი, 2. პოლიტეხნიკუმისა და უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მუშებს რუსის კონსულის სახლთან დემონსტრაციის გამართვა უნდოდათ, მაგრამ გაჩნდა პოლიცია და გაჰფანტა იგინი. შემდეგ მივიდნენ გერმანიის კონსულთან და სახლს ქვებისა და რევოლვერების სროლა დაუწყეს. აქ პოლიციამ იარაღი იხმარა. დაიჭრა რამდენიმე სტუდენტი და პოლიციელი.

პეტერბურგი, 2. გაზეთ „რუს“-ში მოყვანილია ცნობა შემდეგის სათაურით: „თათბირი გრაფ ვიტტესთან მიწის საკითხის შესახებ“. ამ ცნობაში ერთი სიტყვა მართალი არ არის. გრაფ ვიტტეს თავმჯდომარეობით მიწის საკითხის შესახებ არავითარი თათბირი არ ყოფილა. საზოგადოდ ყოველ დღე იბეჭდება სხვადასხვა გამოცემებში ცნობები მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელნიც სიმართლეს მოკლებულნი არიან და ამით მკითხველები შეცდომაში შეჰყავთ. ამიტომ საჭიროა, რომ მკითხველები ამ გვარ ცნობებს მეტის სიფრთხილით მოეპყრნენ.

კიშინიოვი, 2. აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ანადგურებენ მემამულეთა სახლ-კარს და ბეღლებიდან ხორბალს იტაცებენ, ბიდაშოვის მაზრიდან კიშინიოვისაში გადავიდა. ხალხმა გაანადგურა 25 სახლ-კარი. უწესობის ჩასაქრობად ამ მაზრაში ჯარი ძალიან ნაკლებად არის.

ლიბავა, 1 აქაურ სასწავლებლებში სწავლა დაიწყო.

მოსკოვი, 1. ბრესტის რკინის გზის სადგურ გოლიცინზე ორი საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა, ოთხი დაიჭრა. საბჭომ უარჰყო მოსამსახურეთა მოთხოვნილება ქალაქის მოურავის ამხანაგის ლებედევის დათხოვნის შესახებ და დაადგინა, ლებედევს მადლობა გამოეცხადოს და სთხოვოს მას თავის სამსახურს ისევ დაუბრუნდეს.

ბრიანსკი, 1. გაიფიცნენ მალცევის ბროლის ფაბრიკაში მომუშავენი.

ნარვა, 1. დიდ ქარხნებსა და ზოგიერთ ფაბრიკებში მომუშავენი სამუშაოს დაუბრუნდნენ. ზინოვიევის ქარხანაში მუშების ბრბოს, რომელნიც სამუშაოს თავის დანებებას თხოულობდა, თოფებისა და ქვების სროლით დაუხვდნენ. კრენგოლმის მანუფაქტურულ ქარხანაში ჯარს ქვები ესროლნენ, ამ უკანასკნელთაც ხიშტები იხმარეს და სროლა ასტეხეს. რამდენიმე მუშა ტყვიითა და ხიშტებით დაიჭრა; ოფიცერი და რამდენიმე სალდათი ქვებით დააშავეს.

დიმიტროვკა, 1. საგანგებო სხდომაზე სამაზრო ერობამ დაადგინა გლეხთა აუტანელ მდგომარეობის გამო შუამდგომლობა აღძრას, რომ გლეხებს საზრდო მიეცეთ და სახელმწიფო გადასახადების გადახდა დაეცადოთ.

პეტერბურგი, 1. „ნოვოე ვრემიას“ ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ, რომ სათადარიგო ზოგიერთ ჯარის-კაცებმა, რომელნიც უკმაყოფილონი არიან სამსახურში გაჩერებით, დასწვეს და გაანადგურეს ქალაქი. ქალაქის დარბევა 30 ოქტომბერს, შუადღეზე დაიწყო ბაზრიდან, საიდანაც მეამბოხენი ქალაქში გამართნენ. გზა-გზა ყველა მაღაზიებს არბევდნენ. ღამე მთელი ქალაქი და ნავთსადგური იწოდა. მოკლული და დაჭრილი მეამბოხეთა შორის 300-მდეა. განსაკუთრებით მატროსები და არტილერიაში მოსამსახურენი იღებდნენ მონაწილეობას. მცხოვრებთ დამშევა მოელით

1 ნოემბრის სხდომაზე მინისტრთა კომიტეტმა მოიწონა ნავთის მრეწველთა და საფინანსო სამინისტროს მიერ შემუშავებული საშუალებანი ნავთის მრეწველობის აღსადგენად.

სტამბოლი, 1. პერაში ყუმბარა აფეთქდა.

ქუთაისი, 1. საბჭოსგან გამოგზავნილ დეპუტაციას გენერალ-გუბერნატორმა გადასცა ნამესტნიკის განკარგულება გურიაში გაგზავნილ ჯარების შეჩერების შესახებ. ქალაქის მოურავი დეპეშით შუამდგომლობს ვიტტესთან და ნამესტნიკთან გურიიდან ჯარის გაყვანისა, სამხედრო წესების გაუქმებისა და საქართველოში ავტონომიის შემოღების შესახებ.

ნოვოროსსისკი, 1. ადმინისტრაციისა და საზოგადო სამმართველოების მიერ მიღებულ ზომებით მშვიდობიანობა მყარდება. გაძლიერებულის დროის წესები ნამესტნიკმა გააუქმა.

ვარშავა, 1. დღეს, შუადღის ორ საათზე სადგურ ვოლომინზე საქონლის მატარებელი მეორეს დაეჯახა. ერთი კონდუქტორი დაიჭრა, ორი დაშავდა. ორთქლ-მატარებელი და რამდენიმე ვაგონი ლიანდაგს ასცდა.

ლონდონი, 1. „სტანდარტის“ სიტყვით, ოსმალეთის პირდაპირ მომხდარ საზღვაო დემონსტრაციის დაწვრილებითი ცნობები გამოაქვეყნეს. სახელმწიფოები შეკავშირებულად იმოქმედებენ. სანამ უკიდურეს ზომებს მიიღებდნენ, სახელმწიფოები სულთანს ნოტას გაუგზავნიან, რომლითაც მომავალ დემონსტრაციის ამბებს შეატყობინებენ.

პეტერბურგი. ასოთ-ამწყობები საერთო გაფიცვას შემოუერთდნენ. გუშინ და დღეს გაზეთები არ გამოსულან.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დღის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ,-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ,; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერესკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

საჩხერედან გამოდის:

შორაპნისკენ: სამგზავრო. 1) დილის 8 ს. 52 წ.; 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისკენ: სამგზავრო: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) ღამის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ. ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“.

(20—6)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—12).

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაშ „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე ◆ მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის ◆ წელიწადი მეორე

ამოვა თვეში ორჯერ სამ წიგნად: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა — წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ.; ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის — 15 კ., მოზრდილთათვის—25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში. აგრეთვე ქალაქ გარედ ჩვენს აგენტებთან: **ბაქოში:** ანეტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან. **ქუთაისში:** კოლხიდის საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან. **ბათუმში:** მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან. **სოხუმში:** კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან. **ახალციხეში:** სვიმონ ხუთისავარაშვილთან. **გორში:** თამარა და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისასთან, **ფოთში:** იაკობ ფანცხავასთან და თავ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან. **ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან. **საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთანა. **ერევანში:** მარიამ ფავლენოვთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

◆ დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. ◆

ის წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქმნება ჩათვლილი.

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко НЕСТЛЕ.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5